

ქართული ფსიქოლოგიური
ჟურნალი

2023, № 1

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology & Educational Sciences

International Scientific Journal

**Georgian Psychological
Journal**

2023, № 1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი

2023, № 1



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

„ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური, საერთაშორისო, რეფერირებადი, ბილინგვური ჟურნალია, რომელიც ექვემდებარება აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს ფსიქოლოგიაში და ფსიქოლოგიის მომიჯნავე ინტერდისციპლინურ სფეროებში. ჟურნალი აქვეყნებს როგორც თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებულ, ისე რაოდენობრივ, თვისებრივ და შერეულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ ემპირიულ-კვლევით ნაშრომებს, აგრეთვე, სამეცნიერო მიმოხილვებს.

მთავარი რედაქტორი: ლალი სურმანიძე

პასუხისმგებელი მდივანი: მაია მესტირიშვილი

წარმომადგენლობითი საბჭო: დავით ჩარკვიანი (საქართველო), ირაკლი იმედაძე (საქართველო), ალიოზა ნოიბაუერი (ავსტრია), ლია ყვავილაშვილი (დიდი ბრიტანეთი), ქეთევან ჭანტურია (დიდი ბრიტანეთი)

სარედაქციო კოლეგია: ნათელა იმედაძე (საქართველო), დალი ფარჯანაძე (საქართველო), თამარ გაგოშიძე (საქართველო), მარინე ჩიტაშვილი (საქართველო), ბოჟიდარ კაცზმარეკი (პოლონეთი), იამზე კუტალაძე (საქართველო), ტარა მერფი (დიდი ბრიტანეთი), მზია წერეთელი (საქართველო), დანიელ სტარკი (დიდი ბრიტანეთი), მედეა დესპოტაშვილი (საქართველო), ლუიზა არუთინოვი (საქართველო), მაია რობაქიძე (საქართველო)

The **Georgian Psychological Journal** is the official international bilingual peer reviewed journal of the TSU Faculty of Psychology and Educational Sciences, and is dedicated to urgent problems within Psychological disciplines.

The journal publishes empirical, theoretical, methodological, and practice-oriented articles covering topics relevant to time sensitive problems of psychology and interdisciplinary studies. Particular consideration is given to empirical articles using quantitative, qualitative, and mixed methodology. The journal welcomes manuscripts from scholars throughout the world, including research from multi-site international projects and work that has the potential to be adapted and implemented worldwide to address the needs of diverse populations, cultures, and communities.

Editor: Lali Surmanidze

Executive Secretary: Maia Mestvirishvili

Representative Board: Davit Charkviani (Georgia), Irakli Imedadze (Georgia), Aljoscha Neubauer (Austria), Lia Kvavilashvili (UK), Ketevan Tchanturia (UK)

Editorial Board Members: Natela Imedadze (Georgia), Dali Parjanadze (Georgia), Tamar Gagoshidze (Georgia), Marine Chitashvili (Georgia), Bożydar Kaczmarek (Poland), Iamze Kutaladze (Georgia), Tara Murphy (UK), Mzia Tsereteli (Georgia), Daniel Stark (UK), Medea Despotashvili (Georgia), Luiza Arutinovi (Georgia), Maia Robaqidze (Georgia)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023

ISSN 2667-9027

E-ISSN 2960-9844

შინაარსი

ემპირიული კვლევები

EMPIRICAL STUDIES

ლალი სურმანიძე

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები: აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა (ქართული ქეისი) 9

Lali Surmanidze

Personality Traits as Cultural Models (Georgian case – Aggression, Altruism, Flattery) 26

ეკატერინე ფირცხალავა

ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ქართველობა – ეთნიკური იდენტობა, ჯგუფის შიგნით და ჯგუფთაშორისი ურთიერთობები ემიგრაციაში 41

Ekaterine Pirtskhalava

Georgian Migrants in Germany: Being Georgian – Ethnic identity, intragroup and intergroup relationships in immigration 63

ხათუნა მარწყვიშვილი, მაია მესტირიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, თეკლა ნემანიშვილი

ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკები: პიროვნული ნიშნების როლი 82

Khatuna Martskvishvili, Maia Mestvirishvili, Lili Khechuashvili, Tekla Nemanishvili

Unveiling the Self-Presentation Tactics on Facebook: The Role of Personality Traits 106

ია კუტალაძე, ნინო წულაია

ორგანიზაციული სამართლიანობისა და მნიშვნელობის მქონე სამუშაოს როლი ფსიქოლოგიური მესაკუთრეობის ფორმირებაში 127

Ia Kutaladze. Nino Tsulaia

The Role of Organizational Justice and Meaningful Work in the Formation of Psychological Ownership 143

მაია რობაკიძე

უზნადის ფიქსირებული განწყობის მეთოდის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები: ემპირიული გადამოწმება 157

Maia Robakidze

Differential – Psychological Aspects of the Method of Fixated Set: Empirical Verification 173

თინათინ ნორაკიძე, ლუიზა არუთინოვა

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური პრობლემების მოგვარების
სახელმწიფო მექანიზმები 186

Tinatin Norakidze, Luiza Arutinova

The State Mechanisms of Dealing with Children and Adolescents’
Mental Problems 206

ემპირიული კვლევები
EMPIRICAL STUDIES

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები: აბრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა (ქართული ქაისი)

ლალი სურმანიძე¹

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმნიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

კოგნიტურ ფსიქოანთროპოლოგიურ თეორიულ-კონცეპტუალურ ბაზაზე დაყრდნობით წარმოდგენილია პიროვნული თვისებების კულტურული მოდელების კვლევა. პიროვნული თვისებები განხილულია კულტურულ პრაქტიკასთან ურთიერთქმედებით ფორმირებულ საზიარო კულტურულ გამოცდილებაზე, რომელიც ფსიქიკაში რეპრეზენტირებულია კულტურული მოდელების (სქემების) სახით. კვლევა ჩატარდა 25-45 წ.წ. ასაკის ქართულენოვან 50 ადამიანზე ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკის და ინტერვიუს მეთოდებით. კვლევის მასალად გამოყენებული იქნა 200 ქართული ხალხური იდიომა. კვლევის შედეგად ფორმირებული სემანტიკური სივრცე ასახავს იდიომათა სემანტიკური კავშირების სტრუქტურას, ხოლო ინტერვიუს მეთოდით გამოვლინდა კვლევის მონაწილეების არგუმენტაციები სემანტიკური დაჯგუფებების თაობაზე, რაშიც წამყვანი როლი ენიჭებოდა აფექტურ იმპლიკაციებს (გრძნობებს), პერცეფტულ იმპლიკაციებს (მოსაზრებებს კატეგორიებში გაერთიანებული ელემენტების მსგავსების შესახებ) და კოგნიტურ იმპლიკაციებს (კატეგორიების სახელდებას). ექსპერიმენტული და ინტერვიუს მონაცემები ინტერპრეტირდა სინთეზურად. სტატიაში წარმოდგენილია 3 პიროვნული თვისების – აბრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა – ანალიზი; თვისებები და მათი კომპონენტები ინტერპრეტირებულია კულტურულ-სპეციფიკურ კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: კოგნიტური ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, კულტურული მოდელები, ფოლკლორი, მეტაფორა, პიროვნული თვისებები, სინთეზური მეთოდოლოგია

შესავალი

1950-იანი წლების კოგნიტურმა რევოლუციამ „ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში გონება დააბრუნა“ და, იმავდროულად, ნიადაგი მოამზადა ანთროპოლოგიის კოგნიტურ მეცნიერებასთან დაკავშირებისთვის (Miller, 2003). თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კოგნიტივისტური მიმართულება ეფუძნება როგორც კოგნიტური ანთროპოლოგიის, ისე კოგნიტური ფსიქოლოგიის დაშვებებს, ამასთან, წინა პლანზე წამოწეულია კულტურასა და ადამიანის მენტალურ სტრუქტურებს შორის კავშირი (D’Andrade, 1992; Dressler et al., 2017; shore, 1996; Strauss & Quinn, 1997). ამ მიმართულებაში კულტურა მოიაზრება საზიარო კულტურული გამოცდილების საფუძველზე ფორმირებულ დაშვებათა ერთობლიობად, რომელიც ორგანიზებულია სქემებით.²

¹ პასუხისმგებელი ავტორი:

ლალი სურმანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმნიფო უნივერსიტეტი
lali.surmanidze@tsu.ge

² ნაომი ქვინისა და კლაუდია სტრაუსის განმარტებით, კულტურა – ეს არის ინდივიდების განმეორებადი გამოცდილებების, მათ საფუძველზე ფორმირებული გაზიარებული სქემებისა და ამ სქემებისა და გარე სამყაროს შორის ინტერაქციების ერთობლიობა (Chkhaidze, 2021).

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კოგნიტივისტურ მიმართულებაში კულტურული სქემა, ანუ კულტურული მოდელი¹ კულტურული გამოცდილებით ფორმირებულ მენტალურ სტრუქტურად განიხილება – მიიჩნევა, რომ კულტურაში მსგავსი გამოცდილების მიმღებ ადამიანთა ჯგუფს სქემებიც მსგავსი (საზიარო) უნდა უყალიბდებოდეს. თავის მხრივ, ისინი ასახულია კულტურული სამყაროს გამოცდილებაშიც. ნაომი ქვინის აღნიშვნით, ამგვარ სქემებს ადამიანები იყენებენ მოლოდინების, მსჯელობების ფორმირებისა თუ სხვა ყოველდღიური საქმიანობისას (Quinn, 2005). ცხადია, რომ კონკრეტულ კულტურას მრავალი გამოცდილებისეული ფენომენის შესაბამისი მოდელები აქვს. კულტურულ სქემებსა და მათ მენტალურ რეპრეზენტაციებს კოგნიტური ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება – კულტურული მოდელების სკოლა შეისწავლის (Bennardo & Munck, 2014; Blount, 2011; Quinn, 2011).

კულტურასა და ადამიანის მენტალურ პროცესებს შორის კავშირის კვლევის კონტექსტში ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა კულტურული სიბრძნის შესწავლა, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია კულტურის ადაპტაციური პროცესების შესწავლასთან, რამდენადაც მთელი ისტორიის მანძილზე შენარჩუნებულ კულტურულ პრაქტიკებს, როგორც წესი, ევოლუციური ნვლილი შეაქვს სოციალური ჯგუფებისთვის სარგებლის მოტანით.

კოგნიტური პროცესებით კულტურა ოპერირებს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე.² კოლექტიურ დონეზე კულტურა აფორმირებს ურთიერთობას და სოციალურ ურთიერთქმედებას, ტაბუირების თემებს, ემოციების გამოხატვის ფორმას, ურთიერთობის სტილს და ა.შ. (Gudykunst & Kim, 2002; Matsumoto et al., 2008; Triandis, 1994); განსხვავებები რისკებთან დაკავშირებულ კულტურულ ნორმებს შორის, შესაძლოა, განპირობებული იყოს განსხვავებული ეკოლოგიური პირობებით, რაც, თავის მხრივ, კავშირშია ადაპტაციურ პროცესებთან (Chen et al., 1995); თხრობის კულტურული პრაქტიკა სოციალიზაციის მძლავრ მექანიზმად მიიჩნევა, რამდენადაც სწორედ მისი მეშვეობით კულტურულ ჯგუფებს შთამომავლობით გადაეცემა ცოდნა და ინფორმაცია, რომლებიც ჯგუფს გადარჩენის შანსებს უზრდის (Lancy, 2008).

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები

პიროვნული თვისებების თეორიული მიდგომა პიროვნების ფსიქოლოგიის გავლენიანი თეორიულ-კვლევითი ნაწილია. არტურ რებერი პიროვნულ თვისებებს განმარტავს, როგორც გარკვეულ ჰიპოთეტურ ბაზისურ ან პიროვნულ მახასიათებელს, რომელიც, პრინციპში, შეიძლება გამოყენებულ იქნას ქცევის სტაბილურობისა და

¹ თანამედროვე ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში ტერმინები „სქემა“ და „მოდელი“ სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება (D’Andrade, 1995).

² კვლევების თანახმად, ინდივიდუალურ დონეზე, დასავლური კულტურები, აღქმის პროცესში, როგორც წესი, ფოკუსირდებიან ცალკეულ ობიექტებსა და მათ თავისებურებებზე, განსხვავებით აღმოსავლური კულტურებისგან, რომლებიც, დიდი ალბათობით, აღქმაში მთლიანობით მიდგომას ეყრდნობიან (Nisbett, 2004); კოლექტივისტური კულტურის წარმომადგენლები, ინდივიდუალისტური კულტურის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, უკეთ იმასსოვრებენ სოციალურ ინფორმაციას (Wang et al., 2002). დადასტურებულია, რომ მედიტაციის კულტურული პრაქტიკა აუმჯობესებს ყურადღებასა და კოგნიტურ კონტროლს (Brefczynski-Lewis et al., 2007).

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები: აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა

თანმიმდევრულობის ასახსნელად, ან როგორც ინდივიდის ქცევის მოდელების, აღქმის, აზროვნების და ა.შ. მარტივ აღწერად ამხსნელი ინტენციის გარეშე (Reber, 1996). პიროვნების თეორიების ბაზისური დაშვების თანახმად, მოქმედების, გრძნობების თუ ფიქრების განხორციელების ალბათობის თვალსაზრისით, ადამიანის აღწერა შესაძლებელია იმიტომ, რომ ის მიდრეკილია გარკვეული სახით რეაგირებისკენ (Perwin & John, 2000). პიროვნული თვისებების მეშვეობით ქცევის პროგნოზირებასთან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად, რიჩარდ ნისბეტისა და ლი როსის თქმით, როგორც ჩანს, ადამიანთა უმრავლესობას, მათ შორის, პროფესიონალებსაც, ღრმად სჯერათ, რომ ამ საქმეში თვისებების ცოდნა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა (Nisbet & Ross, 2000). ადაპტაციურ პროცესებში პიროვნული თვისებების მნიშვნელოვანი როლის დამაჯერებელი დასაბუთება უკავშირდება სოციალური ბიოლოგების მიერ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში გაჟღერებულ თვალსაზრისს. ამ კონცეფციის თანახმად, ისინი შეჭიდულია სოციუმში მოქმედ მარეგულირებელ სისტემებთან, მნიშვნელოვან ადაპტაციურ მექანიზმებთან, უძირითადესი ადაპტაციური სტრატეგიების ფორმირებასა და ფუნქციონირებასთან, აღწერს საზოგადოებაში პიროვნების სიმყარისა და წინსვლისთვის საჭირო უმნიშვნელოვანეს პიროვნულ ნიშნებს და მოიცავს ინფორმაციას „ჩვენი“ და „ჩვენი ჯგუფის“ კეთილდღეობისთვის არსებითი ინდივიდუალური განსხვავებების შესახებ (Macdonald, 1998; McCrae et al., 1998). სწორედ ამითაა განპირობებული პიროვნული თვისებების აღმწერი ტერმინოლოგიის არსებობა განსხვავებულ ენებში. პიროვნულ თვისებათა ე. წ. „დიდი ხუთეულის“¹ სტრუქტურის უნივერსალიზმის მიმართ მკვლევარ-ფსიქოლოგთა ღრმა რწმენის მიუხედავად, მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის თვალსაზრისით, სხვადასხვა კულტურაში ენობრივ-სემანტიკური სტრუქტურების მსგავსება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ენობრივი სტრუქტურა ხალხის ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც ეკვივალენტურად ასახავს, ან იმას, რომ კონკრეტული პიროვნული თვისება (ან თვისებათა ერთობლიობა) სხვადასხვა კულტურაში იდენტურად არის გაგებული. მიიჩნევა, რომ ამ ტერმინოლოგიის ნაწილი მაინც, თუ ყველა არა, კულტურულად, ევოლუციურ-ადაპტაციური პროცესითაა განპირობებული და, სხვადასხვა ენაში ლინგვისტური ეკვივალენტების არსებობის მიუხედავად, სემანტიკურ ეკვივალენტს არ წარმოადგენს (Perwin & John, 2000). კვლევები ამყარებს ამ პოზიციას. მაგალითად, ფილიპინურ კულტურაში ხუთფაქტორიანი მოდელის ვერიფიკაციამ გამოავლინა პიროვნულ თვისებებზე თანმიმდევრული კულტურულ-სპე-

¹ მრავალი კვლევის შედეგად ბევრ ენაში დადასტურებული, პიროვნულ თვისებათა 5, მოგვიანებით, 6 კატეგორია. ამ, ე. წ. „დიდი ხუთეულის“ (ლიაობა, ექსტრავერსია, ნევროტიზმი, პატიოსნება, კეთილგანწყობა) სტრუქტურის უნივერსალურად განხილვას მხარს უჭერს გასხვავებულ ენებში ეკვივალენტური ტერმინების აღმოჩენა, სხვადასხვა კულტურაში პიროვნულ თვისებათა კლასიფიკაციების მსგავსება, თავად სტრუქტურის უცვლელობა, ხუთივე ფაქტორის საკმაო სანდოობა/ვალიდურობა და შედარებით სტაბილურობა ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე (Perwin & John, 2000). თავის მხრივ, სკეპსისი „დიდი ხუთეულის“ სტრუქტურის უნივერსალიზმის მიმართ წინა პლანზე წამოწევს კულტურის ფაქტორის სრულ უგულვებლყოფას: ხუთფაქტორიანი მოდელი იმ კულტურის მონაცემთა საფუძველზეა შექმნილი, რომლის მსოფლმხედველობა პიროვნებას მოიაზრებს ავტონომიურად, სხვებისგან გამოყოფილად მაშინ, როცა არსებობს საპირისპირო მსოფლმხედველობის კონტექსტში პიროვნების მიჯაჭვული მოდელიც (ე.წ. არადასავლურ, აგრეთვე, აღმოსავლურ კულტურებში. იხ. (Markus & Kitayama, 1991; Markus & Kitayama, 1998; Triandis, 1995).

ციფიკური ორგანიზაცია, რაც, მკვლევართა დასკვნით, „აზროვნების, გრძობების, ქცევათა თანმიმდევრულობის ტენდენციებში კულტურულ-ინდივიდუალურ განსხვავებებს ასახავს“ (Church, 1987; Church & Lonner, 1998). ანგარიშგასანევია ისიც, რომ პიროვნული თვისებები ცნობიერების კატეგორიალური სტრუქტურისთვის მაკლასიფიცირებელ ნიშნებადაც გვევლინება და, შესაბამისად, კოგნიტური პროცესების, მათ შორის, სოციალური პერცეპციის კულტურული განპირობებულობის ერთ-ერთ წყაროდაც. უეჭველია, რომ თვისებათა სემანტიკურ თავისებურებებში ასახულია ამ კულტურისთვის მისაღები ადამიანის ტიპის და, შესაბამისად, აღზრდის მოდელის ცენტრალური აქცენტებიც (Surmanidze, 2001, 2010).

ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში დამოკიდებულება პიროვნული თვისებების კვლევის მიმართ, ტრადიციულად, არაერთმნიშვნელოვანია. გეშტალტფსიქოლოგიის კვალდაკვალ, „კულტურა-პიროვნების“ სკოლის კონფიგურაციონისტულ მიმართულებაში (გასული საუკუნის 30-40-იანი წლები) თვისებები გაგებულია პიროვნების – კომპლექსური, „ორგანიზებული მთლიანობის“ ელემენტად (სწორედ ამიტომ განიხილებოდა კულტურა ამ მიმართულებაში პიროვნების ანალოგიით) (Bock, 1988); „კულტურა-პიროვნების სკოლის“ სხვა შტოს – ეროვნული ხასიათის მკვლევრებისთვის პიროვნული თვისებები განიხილება კულტურულ პატერნებთან ერთიანობაში: „ეროვნული ხასიათი წარმოადგენს საზოგადოების ზრდასრული წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელ, შედარებით მყარ პიროვნულ მახასიათებლებსა და პატერნებს“ (Inkeles & Levinson, 1969);

გრეგორი ბეიტსონი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ხასიათებს შორის განსხვავების აღწერისთვის ბინარული და ტრიადული პატერნების შესწავლას ანიჭებდა უპირატესობას (Bateson, 2000); ამ მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ლინგვისტი ედუარდ სეპირი კატეგორიულად უპირისპირდებოდა „თვისებების ფსიქოლოგიას“ და დაჟინებით, ხაზგასმით იყენებდა ტერმინებს – „პატერნი“, „ორგანიზაცია“, „კონფიგურაცია“ (Bock, 1988).

ამგვარად, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია იმთავითვე უპირისპირდებოდა პიროვნული თვისებების უნივერსალისტურ გაგებას და აქცენტს სვამდა მათ კონტექსტურ სპეციფიკაზე. კულტურულ სივრცეში მნიშვნელოვანი ადაპტაციური ფუნქციის გამო, პიროვნული თვისებები ამ სივრცის ორგანული პროდუქტია, მათ აქვთ კულტურული მნიშვნელობები, რომლებიც ფსიქიკაში რეპრეზენტირებულია კულტურული სქემების სახით, ისინი, თავის მხრივ, ეფუძნება ე.წ. ობიექტურ კულტურულ პროდუქციასთან (კულტურული ტექსტები, პრაქტიკა, დანესებულებები) ურთიერთქმედებით ფორმირებულ საზიარო კულტურულ გამოცდილებას. ამ პოზიციიდან, პიროვნულ თვისებათა კულტურული მოდელები ასახავს შეფასების კულტურულ პრაქტიკას და, ამდენად, კულტურულ სიბრძნედაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ფოლკლორული წარმონაქმნები, როგორც კულტურული მოდელები

ფოლკლორი კულტურის განსაკუთრებით ძვირფასი საცავია და სამართლიანად მიიჩნევა კულტურულ სიბრძნედ. ფოლკლორული ცნობიერება ყოფაში, „მშობლიურ“ სოციოკულტურულ გარემოში აღმოაჩენს მზა მასალას განზოგადებისა და იდეოლო-

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები: აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა

გიური შეფასებებისთვის. ამ თვალსაზრისით, ის რეფლექსირების ფუნქციასაც ასრულებს. ე. წ. მცირე ფოლკლორი (იდიომატური გამოთქმები, ანდაზები, აფორიზმები) გაზიარებული კულტურული გამოცდილების ამსახველი ვერბალური ფორმულებია, რომლებსაც ბრედ შორი ლინგვისტურად კოდირებული მოდელების კატეგორიაში აერთიანებს. მისი თქმით, „ვერბალურ ფორმულებში მეტყველების უმაღლეს კონვენციურ ფორმაში ასახულია ტრადიციული სიბრძნე, სპეციალიზებული ცოდნა ან ტაქტიკები“. ისინი არსებობს მზა სახით; წარმოადგენს ყველა მოსაუბრის მიერ დაუფლებულ ლინგვისტურ რესურსს; ავტომატიზებული საპასუხო ნიმუშებია; ამარტივებს საუბარს. ლინგვისტური ფორმებით ცოდნა უფრო დამაჯერებელი ხდება და „კულტურულ სიბრძნედ“ წარმოჩინდება (shore, 1996). ჯეფრი უაიტის თვალსაზრისით, ლინგვისტური ფორმულები გამოცდილების გენერალიზებული მოდელებია და მათი ორგანიზაციის შესწავლის შესაძლებლობას წარმოქმნენ კულტურულ კონტექსტში მათი ღრმა ჩანწულობა ქმნის. მაგალითად, ანდაზის ინტერპრეტაციისას ენის გამოყენების დასკვნა ყოველთვის გამომდინარეობს მოდელის გამოყენების კონტექსტიდან, შესაბამისად, ანდაზიდან დასკვნის გამოტანის პროცესი მისდევს საფუძველმდებარე გაზიარებული ცოდნის სტრუქტურას (White, 1987). ანდაზასთან დაკავშირებული ეს მოსაზრება შეიძლება განივრცოს საზოგადოდ ე. წ. მცირე ფოლკლორზეც, მათ შორის, იდიომატურ გამოთქმებზეც.¹ მიიჩნევა, რომ კულტურულ მოდელთან ვერბალური ფორმულებით გამოხატული მნიშვნელობის დაკავშირებაში განსაკუთრებულ როლს მეტაფორა ასრულებს.

მეტაფორა და კულტურული მოდელი

როგორც ცნობილია, „მეტაფორის არსი მდგომარეობს ერთი რიგის მოვლენების სხვა რიგის მოვლენათა ტერმინებით გააზრებასა და განცდაში“ (Lakoff & Johnson, 1990). მეტაფორის კოგნიტური თეორიის ავტორებმა, ლინგვისტებმა ჯორჯ ლაკოფმა და მარკ ჯონსონმა (1980) სქემის ინდიკატორებად პირველებმა გამოიყენეს მეტაფორების მეთოდი. მათი თვალსაზრისით, მეტაფორები, რომლებიც მსჭვალავს ადამიანის მთელ ცხოვრებას, თავს ავლენს არა მხოლოდ ენაში, არამედ აზროვნებასა და მოქმედებაშიც. ისინი გაუცნობიერებლად და, ძირითადად, ავტომატურად, გარკვეული სქემების შესაბამისად გამოიყენება. ლაკოფისა და ჯონსონის აზრით, მეტაფორა ქმნის კულტურულ მოდელს/სქემას (Lakoff & Johnson, 1990). მათგან განსხვავებით, თანამედროვე ფსიქონანტროპოლოგები მიიჩნევენ, რომ მეტაფორა კი არ ქმნის, არამედ ასახავს მათ საფუძველმდებარე კულტურულ სქემას (Strauss & Quinn, 1997). სქემის გამოსავლენად კლაუდია სტრაუსი და ნაომი ქვინი მეტაფორების კატეგორიზების მეთოდს მიმართავენ და ამგვარად გამოვლენილ კატეგორიებს ფართოდ გაზიარებულად მიიჩნევენ.

¹ მიჯნავენ ტერმინებს – „ფრაზეოლოგია“ და „იდიომატიკა“. აქ აღვნიშნავთ, რომ იდიომები მეტაფორას ეფუძნება და სათქმელს ამბობს „შეფარვით“, არაპირდაპირ. ზოგჯერ მას „გაქვავებულ“ მეტაფორადაც მოიხსენიებენ. იდიომი და იდიომატური გამოთქმა სინონიმური ტერმინებია (Akhmaladze, 2022).

თავის დროზე ვილჰელმ ვუნდტი ხალხთა ფსიქოლოგიის შესასწავლად უპირატეს როლს ანიჭებდა აღმწერი მეცნიერებების – ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის, ლინგვისტიკის მეთოდებს. ხალხთა ფსიქოლოგიის (კულტურული ფსიქოლოგიის) საკვლევად ფოლკლორს იგი ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ წყაროდ მიიჩნევდა (Wundt, 1998). ამის მიუხედავად, ფსიქოლოგიურ თუ ფსიქოანთროპოლოგიურ კვლევებში ამ მასალაზე დაფუძნებულ კვლევებს იშვიათად შეხვდებით. ცნობილია ფსიქოანთროპოლოგ ჯეფრი უაიტის კვლევა ანდაზებზე (White, 1987), ნაკვლევია რუსული იდიომატური გამოთქმების სემანტიკური სივრცე (Petrenko, 1988), არსებობს დ. ჩუბინიძის ადაპტაციური სტრატეგიების კვლევა ანდაზების გამოყენებით (Chubinidze, 2018), ასევე, ამ სტატიის ავტორის კვლევები, რომლებშიც ფოლკლორული იდიომატური გამოთქმები სტერეოტიპთა შესაფასებელ სკალებად იყო გამოყენებული (Surmanidze, 1993, 2010).

თანამედროვე კოგნიტურ ფსიქოანთროპოლოგიაში კულტურული მოდელის გამოსავლენად, ჩვეულებრივ, მიმართავენ ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებული მეტაფორების ანალიზს (Chkhaidze, 2021; Chkhaidze et al., 2019). ამისგან განსხვავებით, წინამდებარე კვლევაში მასალად გამოყენებულ იქნა, ასე ვთქვათ, „ბუნებრივი“ მეტაფორები – ქართული ხალხური იდიომატური გამოთქმები (Sakhokia, 1979). ისინი შედარებით მყარი, ხანგრძლივად არსებული ლინგვისტური წარმონაქმნებია, რომლებსაც კონკრეტული ენის მატარებლები დღესაც აქტიურად იყენებენ სწორედ იმიტომ, რომ მათში მოაზრებული მნიშვნელობები ფართოდ გაზიარებულ კულტურულ წარმოდგენა/შეხედულებებს ასახავს, რაც, თავის მხრივ, კულტურული მოდელის ძირითად ბაზის წარმოადგენს. ჯ. ვაიტის აღნიშვნით, სწორედ მათ ეყრდნობა ადამიანი მნიშვნელობის კონსტრუირების დროს ვერბალური ფორმულებიდან დასკვნის გამოტანის პროცესში (White, 1987).¹

კვლევის აღწერა

წინამდებარე სტატიაში ასახულია 2009-2010 წლებში ჩატარებული, გამოუქვეყნებელი კვლევის² მონაცემთა მეორადი ინტერპრეტაცია.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პიროვნული თვისებების კულტურული მოდელის გამოვლენა ქართული ხალხური იდიომების ბაზაზე.

ამოცანები:

- ლექსიკონიდან ამორჩეული იდიომებიდან კვლევისთვის რელევანტური იდიომების შერჩევა;
- იდიომების კატეგორიალური სტრუქტურის დადგენა – სემანტიკური სივრცის აგება და დენდროგრამის ანალიზი;
- იდიომების კლასიფიკაციის რაციონალური საფუძვლების (კვლევის მონაწილეთა მსჯელობების) სემანტიკური და დისკურსული ანალიზი;

¹ ადამიანის ვერბალური ქცევის აღმწერი იდიომები, უმეტესწილად, ნეგატიურ დისპოზიციებს გადმოსცემს და, ამგვარად, უარყოფის პრინციპით ამკვიდრებს სოციუმში მოქმედ ღირებულებებს. ამიტომაც, რომ ექსპერიმენტულ მასალაში, პოზიტიურთან შედარებით, ნეგატიური სემანტიკის მქონე იდიომური გამოთქმები ჭარბობს.

² ანალოგიური კვლევის ნაწილი ასახულია იხ. სურმანიძე ლ. 1993.

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები: აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა

- გამოვლენილი თვისებების კომპონენტთა ანალიზი და ინტერპრეტაცია.

მეთოდოლოგია

კულტურულ სქემებსა და მათ მენტალურ რეპრეზენტაციებს შორის კავშირის შესწავლაში ერთ-ერთი აქტუალური მიმართულება მნიშვნელობების შესწავლაა.¹ მნიშვნელობა განიხილება მოცემულ მომენტში ობიექტის ან მოვლენის მიერ პიროვნებაში აღძრულ ინტერპრეტაციად, რომელიც გამთლიანებულად მოიაზრებს კოგნიტურ პროცესს – ობიექტისა თუ მოვლენის იდენტიფიკაციას, აგრეთვე, მის მიმართ არსებულ მოლოდინს, ემოციასა და მასზე საპასუხო რეაქციის განხორციელების მოტივაციას (Bennardo & Munck, 2014). გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის, სპეციალურად ამ ტიპის კვლევებისთვის დამუშავებული, ჰიბრიდული თუ მეთოდთა კომბინაციები. მეთოდებს, ძირითადად, 3 კატეგორიად აჯგუფებენ: ეთნოგრაფიული მონაცემები და მათი ანალიზის მეთოდები, ლინგვისტური მონაცემები და მათი ანალიზის მეთოდები, ექსპერიმენტული მონაცემები და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები (Bennardo & Munck, 2014). კვლევით პრაქტიკაში განსხვავებულ მეთოდთა დაბალანსებული ან სინთეზური გამოყენებისკენ სწრაფვა გამოკვეთილი ტენდენციაა (Surmanidze, 2021).

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია პოზიტივისტური და ჰერმენევტიკული მიდგომების სინთეზური გამოყენების შემთხვევა. მეთოდოლოგიური სინთეზი მიღწეულია ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკური მეთოდისა და ინტერვიუს მეთოდებით მოპოვებული მონაცემების სინთეზური ანალიზით.

ამგვარად, მონაცემთა მოსაკრებად გამოყენებულ იქნა ორი ტიპის მეთოდი, ე.წ. „მკაცრი“ – ფსიქოსემანტიკური ექსპერიმენტი² და ე.წ. რბილი – ინტერვიუ კვლევის მონაწილესთან. კვლევაში მონაწილეობდა 25-45 წლის ასაკის, ქართულენოვანი, 50 ადამიანი (28 ქალი, 22 მამაკაცი). კვლევა ჩატარდა კვლევის მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობით.

სტრატეგია, მეთოდები, პროცედურა

კვლევა ეყრდნობა ე. წ. ემიკურ კვლევით სტრატეგიას („შიგნიდან“), რომელიც დაფუძნებულია პრინციპზე: „შევხედოთ კულტურას მისივე მკვიდრის თვალით“.

¹ აღსანიშნავია, რომ ანთროპოლოგები კულტურის და „მნიშვნელობის“ ცნებებს ურთიერთმეზონაცვლებლად იყენებენ (Bennardo & Munck, 2014).

² ფსიქოსემანტიკა – ფსიქოლინგვისტური კვლევითი სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ტექსტის კვლევასა და ანალიზზე რეალურ სამეტყველო პროცესში. ექსპერიმენტული პროცედურების მეშვეობით ხდება სამეტყველო/სააზროვნო მოღვაწეობის რეალური ფორმების მოდელირება, კერძოდ, ადამიანის ან სოციალური ჯგუფის ცნობიერების მნიშვნელობათა სისტემის რეკონსტრუქცია. ექსპერიმენტის შედეგად შექმნილი სემანტიკური სივრცე ცნობიერების ოპერაციონალისტურ ანალიზის წარმოადგენს და ასახავს საკვლევ სფეროს (ფსიქიკის ფრაგმენტს). სემანტიკური სივრცის აგება ეყრდნობა სხვადასხვა პირველად მეთოდს (მრავლობითი იდენტიფიკაცია, ასოციაციური ექსპერიმენტი, სკალირება, კლასიფიკაცია და სხვ.). კვლევის მონაცემები მუშავდება მულტიკომპონენტური სტატისტიკის მეთოდებით (Petrenko, 1988, 1997; Petrenko & Mitina, 2010).

ფსიქოსემანტიკური ექსპერიმენტი – სემანტიკური სივრცის აგება. კვლევაში მიწოდებული იდიომების ბაზაზე მოხდა ცნობიერების კატეგორიული სტრუქტურის რეკონსტრუირება და შესაბამისი სემანტიკური სივრცის აგება, რისთვისაც პირველად მეთოდად გამოყენებულ იქნა კლასიფიკაციის მეთოდი.

ექსპერიმენტის პროცედურა: კვლევის მონაწილეებს მიეწოდებოდათ დანომრილი 200 ბარათი, თითოეულზე ერთი იდიომატური გამონათქვამით. იდიომები ჯგუფდებოდა მნიშვნელობათა მსგავსების პრინციპით. დაჯგუფების პრინციპს (ჯგუფის რაოდენობას, შემადგენლობასა და მოცულობას) მონაწილე სურვილისამებრ ადგენდა. ექსპერიმენტი ტარდებოდა ინდივიდუალურად. ექსპერიმენტის ხანგრძლივობა – 40-45 წთ. მონაცემთა აღრიცხვა ხდებოდა სპეციალურ ბლანკზე.

ინტერვიუს პროცედურა: მნიშვნელობათა შესწავლისას კვლევის მონაწილის მიერ განხორციელებული აქტივობების ახსნა-განმარტება/დაზუსტება კვლევის ერთ-ერთი არსებითი მომენტია. ინტერვიუს საშუალებით კვლევის მონაწილეებისგან გროვდებოდა ინფორმაცია ექსპერიმენტის პროცესში მათ მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ: ექსპერიმენტული პროცედურის დასრულებისთანავე ვთხოვდით მათ მიერ გამოყოფილი თითოეული ჯგუფის პირობით სახელდებას, კლასიფიკაციის რაციონალური საფუძვლის – კლასიფიკაციის პრინციპის ფორმულირებას (შეძლებისდაგვარად), ყოველ ჯგუფში გაერთიანებულ იდიომებს შორის საერთოს (საზიარო მნიშვნელობის) იდენტიფიცირება/დახასიათებას. პროცედურა ტარდებოდა ინდივიდუალურად, აუდიო-ჩანერით. ინტერვიუს ხანგრძლივობა – 25-30 წთ.

მონაცემთა დამუშავება და ინტერპრეტაცია

ექსპერიმენტით მოპოვებული მონაცემები დამუშავდა იერარქიული კლასტერ-ანალიზის მეთოდით (მონაცემთა ანალიზის პროგრამის – SPSS 23-ის გამოყენებით) და აიგო დენდროგრამა (მრავალდონიანი „სემანტიკური ხე“ – სემანტიკური სივრცე). დენდროგრამა ეყრდნობა ობიექტთა წყვილების მსგავსებას ერთსა და იმავე კლასტერში მათი მოხვედრის სიხშირის საფუძველზე; დენდროგრამაზე სემანტიკური დაჯგუფებები ასახულია გამსხვილების კვალდაკვალ, დონეების შესაბამისად. დენდროგრამის გაშიფრვა-ანალიზი, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს დენდროგრამის ე.წ. შუა დონეზე, სადაც მკაფიოდაა გამოკვეთილი მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი კლასტერული დაჯგუფებები და მათი სტრუქტურა. კონკრეტული კლასტერის შინაარსობრივ თავისებურებას ქმნის მისი შემადგენელი ქვეკლასტერები. ქვეკლასტერთა რაოდენობა კლასტერებში განსხვავებულია. კლასტერში თავმოყრილი იდიომების ერთიანობის საფუძველია იმპლიციტურად ნაგულისხმევი არსებითი ნიშანი/ნიშნები. ინტერპრეტაცია ამ ნიშანთა გამოვლენაზე ნარიმართა.

თვისებრივი მონაცემების დამუშავება. ინტერვიუების შედეგად მიღებული ტექსტების სისტემატიზება მოხდა „ანალიტიკური კოდირების პრინციპით“, რასაც მოჰყვა ტექსტის შემადგენელი ელემენტების თემატური კლასიფიკაცია და მონაცემთა კონტენტ-ანალიზი (Boehm, 2004). გამოყენებულ იქნა თვისებრივ მონაცემთა ანალი-

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები: აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა
ზის პროგრამა – NVivo 10. ინტერპრეტაციისას აქტიურად ვეყრდნობოდით ეთნოგრა-
ფიულ, ფოლკლორულ, ისტორიულ და სხვა მასალებს.

აღწერილ კვლევაში 200 იდიომატური გამოთქმის ბაზაზე გამოიყო 17, მეტ-ნაკ-
ლებად დამოუკიდებელი კლასტერული დაჯგუფება. შეზღუდული ფორმატის გამო,
აღნიშნული კვლევის შედეგებიდან წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია მხოლოდ
სამი პიროვნული თვისების კულტურული მოდელის ანალიზი.

1. **კლასტერი „აგრესია“.** მოცემული კლასტერი 3 ქვეკლასტერს მოიცავს. კვლევის
მონაწილეთა აღქმებსა და დეფინიციებში ექსპლიციტურულია აგრესიულობის სე-
მანტიკური ბაზისი. დაჯგუფებათა რაციონალურ დასაბუთებებში კვლევის მონა-
წილენი გამოკვეთენ აგრესიის სხვადასხვა ფორმას:

დ. რ. 29 წლის, მამაკაცი:

*„თავშეუკავებელი, იმპულსური ადამიანის ქცევაა,
თორემ შეიძლება სხვისთვის ცუდი არც უნდოდეს“,*

პ.მ. 57 წლის, მამაკაცი:

*„ეს არის ძირგამომთხრელი საქმიანობა, მეორე ადამიანს, ფაქტობრივად,
საყრდენს აცლის და ცხოვრებას ურთულებს და უფუჭებს,
ბოროტი ადამიანის ქცევებია გამობატული“*

ნ.ბ. 23 წლის, ქალი:

*„ეს ვილაც მანიპულატორია, სხვა ადამიანს იყენებს
თავისი საქმეებისთვის, ანგარება ამოდრავებს,
ადამიანს ატყუებს, როგორც საგანს, ისე ექცევა,
საერთოდ, პატივს არ სცემს.“*

ამგვარად, კლასტერის შინაარსით რეპრეზენტირებულია აგრესიულობა. ეს კრი-
ტერიუმი რამდენიმე კომპონენტით არის წარმოდგენილი.

ქვეკლასტერი ა: „კრიჭაში ჩადგომა“, „ეკლების ხმარა“, „ბოლმის გადმონთხევა“,
„შხამის ნთხევა“, „ბრჭყალების გამოჩენა“, „პირიდან ცეცხლის ყრა“, „ცეცხლის თქმა“,
„ენამწარეობა“, „მიზანში ამოღება“, „ანგარიშის გასწორება“, „ნაცარ-ტუტის ადენა“,
„მუსრის გავლება“.

მოცემული ქვეკლასტერის შინაარსი უკიდურესი დაპირისპირების ამსახველ აგ-
რესიას აღწერს. იდიომათა დიდი უმრავლესობა სიტუაციურ ვერბალურ აგრესიას
ასახავს, თუმცა ამ იდიომების სემანტიკა, ადრესატის დაზარალებაზე უფრო მეტად,
მოქმედი სუბიექტის განმუხტვას ემსახურება. ამასთან, ზოგიერთი მათგანი ტრადი-
ციული ნორმატიული ტაქტიანობის დარღვევადაც შეიძლება იქნას განხილული. მა-
გალითად, იდიომა „ენამწარე“, რომლის სემანტიკაა მოურიდეებლად უსიამოვნოს
მთქმელი, გულისხმობს იმას, რომ სუბიექტი იმპულსური ქმედებისკენაა მიდრეკილი,
ქცევის რეალიზაციისას აგრესიის ექსპრესიული განმუხტვა ვერბალური ფორმით ნაკ-
ლებად ითვალისწინებს სიტუაციას თუ ინტერაქციის პარტნიორს, რაც გარკვეული
ნორმატიული სტანდარტების ანგარიშგაუნეგლობაზეც მიანიშნებს. ეს უკანასკნელი
გამოთქმის პირდაპირ სემანტიკაში არ ჩანს. მაგრამ „ზრდილობის“ მენტალური ღირე-

ბულების კონტექსტი („ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა...“), რომელიც მხარს უჭერს ადამიანის მიმართ კეთილმოსურნეობა-კეთილგანწყობის გამოვლენას შესაბამისი სტანდარტების (ატრიბუტების) ცოდნითა და გამოყენების უნარით, „საუბრის დროს ზომიერების დაცვასაც“ (Javakhishvili, 1956) მოიაზრებს. ამ თვალსაზრისით „ენამწარეობა“ მოქმედი სუბიექტის მიერ ზომიერების სტანდარტის დარღვევას ავლენს, ამიტომ ასეთი ქცევითი დისპოზიცია, გარკვეული თვალსაზრისით, ზრდილობის დეფიციტსაც უნდა ნიშნავდეს. შესაბამისად, ხატოვანი გამოთქმა „ენამწარე“ ვერბალური აგრესიის გამომხატველია, მისი კონოტაცია ნორმატიული სტანდარტის დარღვევის ნეგატიურ იმპლიკაციასაც მოიცავს. ამ ქვეკლასტერში მხოლოდ სამი იდიომის შინაარსი – „მუსრის გავლება“, „ანგარიშის გასწორება“, „ნაცარ-ტუტის ადენა“- გამოკვეთს ქცევის ორიენტაციას, თუმცა მოცემულ ექსპრესიულ სემანტიკურ კონტექსტში ეს იდიომებიც უფრო ექსპრესიული და არა ქცევითი აქტივობის კონოტაციით იტვირთება. ამგვარად, მოცემული შინაარსობრივი ერთობლიობა **ექსპრესიული აგრესიულობის** კომპონენტად შეიძლება განვიხილოთ.

ქვეკლასტერი ბ: „ცეცხლზე ნავთის დასხმა“, „წყლის ამღვრევა“, „მტკიცეულ ადგილზე დაბიჯება“, „ნიხლის დაჭერა“, „საფლავის გათხრა“, „ძირის გამოთხრა“, „გზაკვალის აბნევა“, „ბილიკების დახლართვა“, „ხახამშრალი დატოვება“, „მშრალზე დასმა“, „პირში ჩალის გამოვლება“, „თვალში ნაცრის შეყრა“, „პირში ბურთის ჩაჩრა“, „ცივი წყლის გადასხმა“, „ცივი უარის თქმა“, „ხელების დაბანა“, „აბუჩად აგდება“, „ფეხების მოჭმა“.

ეს ქვეკლასტერი ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია და უკიდურესი აგრესიის აღმწერი ქცევითი დისპოზიციებით ტონს აძლევს მთლიანი კლასტერის სემანტიკას. სუბიექტის დამაზარალებელი ქცევითი დისპოზიციები მეტაფორულადაა აღწერილი. ძალის დემონსტრირებისთვის გამოყენებულია როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ქცევითი მოდელები. იდიომებით აღწერილი მიზნის მისაღწევი სტრატეგიები მიმართულია დამთრგუნველი სიტუაციებისა და დაძაბულობის შექმნაზე, ინტერაქციის პარტნიორის ღირსების ხელყოფაზე. ხაზგასასმელია, რომ მოქმედი სუბიექტი წინასწარ განზრახულად, მიზანმიმართულად, ცნობიერად ახორციელებს სხვა ადამიანის დამაზარალებელ ქცევებს და ეს ინტენცია მთელი კლასტერის შინაარსობრივი ერთიანობის დომინანტური თემაა. კლასტერს ასეც ეწოდა – **დამაზარალებელი აგრესია**.

ქვეკლასტერი გ: „მღვრიე წყალში თევზის ჭერა“, „სხვისი ხელით ნარის გლეჯა“, „პურმარლის დავინყება“, „მოლორება“, „პურის ნილ ქვის მიცემა“, „პირიდან ლუკმის გამოცლა“.

ამ ქვეკლასტერშიც დამაზარალებელი აგრესიაა აღწერილი, მხოლოდ ამჯერად, როგორც სემანტიკური ბაზისი, ექსპლიციურებულია სხვა ადამიანით მანიპულირებისა და ადამიანის დამაკნინებელი ქცევითი დისპოზიციები, ტრადიციული ღირებულებების უპატივცემულობა და ანგარებიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ანგარებიანი მიზნებით ადამიანით მანიპულირების დისპოზიცია ამ ქვეკლასტერის საყრდენი მნიშვნელობაა. ამ კომპონენტს განვიხილავთ, როგორც **ინსტრუმენტულ აგრესიას**.

ამგვარად, კლასტერის შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე აგრესიის პიროვნული თვისების კულტურული მოდელის კომპონენტებად წარმოგვიდგება ექსპრესიუ-

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები: აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა
ლი, დამაზარალებელი და ინსტრუმენტული აგრესია. ამ კომპონენტების შინაარსობრივი სპექტრი მრავალფეროვანია და მოიცავს ინტერაქციის პროცესების დამანგრეველ დისპოზიციებს, თუმცა იდიომები აგრესიის განსხვავებულ ინტენსივობას ასახავს და სემანტიკაში ნიუანსური თავისებურებები ახასიათებთ. მაგალითად, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში ერთმნიშვნელოვანი ნეგატიური სემანტიკის მქონე იდიომატური გამოთქმები – „ცივი წყლის გადასხმა“, „ცივი უარის თქმა“ – პირდაპირი ფორმით ასახავს იმას, რომ აქტორი ინტერაქციის მეორე წევრისკენ შემხვედრ ნაბიჯებს არ დგამს, არ ცდილობს მის მხარდაჭერას, მაგრამ ამგვარი ქცევითი დისპოზიცია ამორალურობას არ გულისხმობს; ამავე კლასტერის სხვა იდიომები – „გზა-კვალის აბნევა“, „ბილიკების დახლართვა“- აღწერს განზრახვების შენიღბვის სტრატეგიას, თუმცა სხვისთვის ზიანის მიყენების გაზრახვას ან ანგარებიანობას ერთმნიშვნელოვნად არ გულისხმობს, მაგრამ მოცემულ უარყოფით კონტექსტში გამთიშველი და დამანგრეველი ტენდენციების ხელშემწყობ კონოტაციას და, შესაბამისად, ნეგატიურ დატვირთვას იძენს.

ამგვარად, აგრესიულობა რეპრეზენტირებულია შესაბამისი კოგნიტური, აფექტური და ქცევითი ორიენტაციებით. ქართულ კულტურულ ნორმატიულ სისტემაში, სადაც პრიორიტეტულია სოციალურ ჯგუფში ჰარმონიის შენარჩუნება, ოჯახური სიმჭიდროვე, ურთიერთპატივისცემა, ინტერპერსონალური ურთიერთობები რეფერენტული ჯგუფების ფარგლებში, აღნიშნული კრიტერიუმი ერთმნიშვნელოვნად მოიაზრება უარყოფითი კონოტაციის მატარებლად.

2. კლასტერი „ალტრუიზმი“. მოცემული კლასტერის იდიომები მეტაფორულად ასახავს ალტრუიზმის კულტურულ გაგებებს. აქ თავმოყრილი მნიშვნელობები ლოგიკურად ავსებენ ერთმანეთს, რასაც ადასტურებს კვლევის მონაწილეთა რაციონალური არგუმენტები მათ მიერ კატეგორიზებული ჯგუფის საფუძვლების შესახებ. მაგალითად:

ა.გ. 47 წლის, ქალი

„ადამიანები უნდა ეხმარებოდნენ ერთმანეთს, რადგან ადამიანი ადამიანით ცოცხლობს - მართო არსებობა წარმოუდგენელია“.

თ. ნ. 25 წლის, მამაკაცი

„დღეს ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ რაღაცის გამო კი არა, არაფრის გამო, ისე, უბრალოდ გაუნოდო მეორე ადამიანს ხელი.“

აღნიშნული კლასტერის სტრუქტურა 2 ქვეკლასტერითაა წარმოდგენილი და წარმოაჩენს სოციალური მხარდაჭერის, უანგარო ურთიერთდახმარების თემებს.

ქვეკლასტერი ა-ს შინაარსი ასახავს სხვა ადამიანის უანგაროდ დახმარების, მისთვის გაღების პოზიტიურ სემანტიკას („მტლად დადება“, „ხელის გამოღება“), რომელსაც სემანტიკურად უკავშირდება საერთო საქმის ერთგულების ღირებულება („საერთო უღლის ერთგულად წევა“, „თავის გადადება“, „თავის გადაგება“).

ქვეკლასტერ ბ-ში გამოკვეთილია მხარდაჭერის მოტივები („გვერდში ამოდგომა“, „გზაზე დაყენება“, „ხელის განოდება“), ზოგიერთი ალტრუისტული ქცევითი მოდელი გააზრებულია ქრისტიანული რელიგიური ღირებულებების კონტექსტში, შესაბამისად, აღსანერად გამოყენებულია რელიგიური ტერმინოლოგია („სულის ცხოვნება“, „მადლის მოსხმა“), აგრეთვე, კოლექტივისტური ორიენტაციის კულტურებისთვის ტიპური კულტურალური კონსტრუქტები, როგორცაა „ნამუსი“ და „ხათრი“ (პირველი პატიოსნების მნიშვნელობით, მეორე – ანგარიშის განევის სემანტიკით – „ნამუსის შენახვა“, „ხათრის შენახვა“).

საინტერესოა, რომ მოცემულ კლასტერში ცალ-ცალკე დამოუკიდებლად შევიდა 2 ვერბალური ფორმულა: „პირში თქმა“ და „სინათლეზე გამოსვლა“. ფრაზეოლოგიზმი „პირში თქმა“, შესაძლოა, საკმაოდ უსიამო სათქმელსაც მოიაზრებდეს და ერთგვარი აგრესიის ნიუანსიც ჰქონდეს, მაგრამ მოცემული კლასტერის სემანტიკურ კონტექსტში აღიქმება სუბიექტის პატიოსნების, მისი დადებითი განზრახვების გამოვლენად და არა ვერბალურ აგრესიად. როგორც სჩანს, „პირში მთქმელის“ პირდაპირობის (გულწრფელობის) მოტივაცია უფრო ღირებულია, ვიდრე მაღალკონტექსტური კულტურებისთვის ანგარიშგასანევი ფაქტორები – გამოთქმის ფორმა, სიტუაცია, მოსაუბრის პიროვნება და სხვ. ერთგვარი დაუნდობლობის მიუხედავად, როგორც ჩვენი კვლევიდან ჩანს, ეს იდიომა ვერბალური აგრესიის ამსახველ იდიომათა კატეგორიის აშკარა ოპოზიციაა (იხ. კლასტერი #1).

მთლიანი კლასტერი, ალტრუისტული ორიენტაციების აღმწერი, ფაქტობრივად, იკვრება ფრაზეოლოგიზმით – „სინათლეზე გამოსვლა“ – მხარდაჭერის საბოლოო მიზანი წარმატების მიღწევაში ხელშეწყობა და სოციალურ ცხოვრებაში ადამიანის აქტიური ჩართვა, ანუ „სინათლეზე გამოყვანა“. უანგარობა ამ კლასტერის არსებითი სემანტიკური ღერძია. ამიტომ მას პირობითად ეწოდა „ალტრუიზმი“.

3. კლასტერი „მლიქვნელობა“. მოცემული კლასტერის შინაარსის აღსანერად კვლევის მონაწილეთა ციტატებს მოვიშველიებ:

მ.ბ. 55 წ. ქალი

„ყველაზე ამაზრზენი ტიპია – ვიღაცას გუდრუკს უკმევს, ცხადია, გამორჩენის მიზნით, ნამდვილი გაიძვერა“.

დ.ს. 25 წ. მამაკაცი

„მლიქვნელის ქცევებია, ასე ხალხი კარიერას იკეთებს“

პ.მ. 42 წ. ქალი

„ვიღაცის გულის მომადლიერება რატო უნდა გინდოდეს, ალბათ, რაღაც გამორჩენას ელის.“

კლასტერის სტრუქტურას 3 ქვეკლასტერი ქმნის.

ქვეკლასტერ ა-ში 3 იდიომა გაერთიანდა: „კუდის ქნევა“, „ფეხების ლოკვა“, „მუცელზე ხოხვა“. იდიომები აღწერს ფიზიკურ ქცევებს ცხოველებისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებით ან მოძრაობებით – კუდი, ლოკვა, ხოხვა. ამგვარად, მეტაფორულად ადამიანის ქცევა ცხოველის ანალოგიითაა აღწერილი. კლასტერის კონტექსტში ეს ქცევები ადამიანის ცხოველთან გამაიგივებელი ინვექტივების ასოციაციას აღ-

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები: აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა ძრავს („ძალი“, „ღორი“, „გველი“). შემთხვევითი არაა ჩვენი კვლევის მონაწილის მიერ ამ კლასტერთან დაკავშირებით სიტყვის – „ამაზრზენი“ გამოყენება. ცხოველებთან ანალოგია ამ იდიომებში ადამიანის ღირსების დამაკნინებელი დისპოზიციის – მლიქვნელობის ამსახველია. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეკლასტერი ა ტონს აძლევს მთლიან კლასტერს.

ქვეკლასტერი ბ-ს 3 იდიომა – „თავის მოქონვა“, „მოთაფლვა“, „საკმევლის კმევა“- აგრძელებს პირველი ქვეკლასტერის სემანტიკურ დომინანტას, ოღონდ მოვლით – „ადამიანური“, კერძოდ, ვერბალური საშუალებებით. ყველა იდიომის მნიშვნელობა მლიქვნელობის ნაირსახეობას – მაამებლობას გადმოსცემს.

ქვეკლასტერი გ: „პირიდან თაფლის დენა“, „გულის მომადლიერება“. ამ ქვეკლასტერის შინაარსით იმპლიციტურად მოიაზრება ვერბალური საშუალებებით ზემოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ აქ გაერთიანებული იდიომების კონტექსტისგარე, დამოუკიდებელი მნიშვნელობა უფრო დადებითია, ვიდრე უარყოფითი. კერძოდ, „პირიდან თაფლის დენა“, პირველ რიგში, სასიამოვნო საუბარს მოიაზრებს, ხოლო ტკბილმოუბრობის უნარი საქართველოში დადებით ღირებულებად იყო მიჩნეული, რამდენადაც ქართული კულტურა ტრადიციულად აღიარებს სიტყვის შთამაგონებელ უნარს და მიიჩნევს მას ძალის მქონედ წინააღმდეგობის დაძლევის გზაზე (რუსთაველის „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“; ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით, აღზრდის პროცესში ტკბილსიტყვაობის მეთოდი აქტიურად გამოიყენებოდა (Javakhishvili, 1956). „გულის მომადლიერებაც“, ასევე, სხვა ადამიანის გულის მოგებას ნიშნავს, სემანტიკურად არაერთმნიშვნელოვანია და მის შეფასებას მოქმედი სუბიექტის ანგარებიანობა/უანგარობა უდევს საფუძვლად. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში იდიომები – „პირიდან თაფლის დენა“, „გულის მომადლიერება“- უარყოფითი კონტექსტის ნაწილად გვევლინება. იმპლიციტურად ასეთი ქცევითი ტაქტიკა უნდა უკავშირდებოდეს უნდობლობას იდიომებში ასახული სტრატეგიის მარეალიზებელი სუბიექტის მიმართ. ტკბილმოუბრობა, ექსპლიციტურად აღიარებული დადებითი ღირებულების მიუხედავად, ყოველდღიურ პრაქტიკაში, როგორც სჩანს, არც თუ იშვიათად, ასოციაციურად შეჭიდულია მკაფიოდ გამოხატულ, პირად ინტერესებზე ორიენტირებულ, ეგოცენტრულ, თალლითი/გაიძვერას ფსიქოლოგიურ ტიპთან. უნდა აღინიშნოს, რომ გაიძვერობის სემანტიკურ ბაზისს წარმოადგენს ელასტიკურობა/მოქნილობა, რომელიც, თავისთავად, ქართულ კულტურაში პიროვნების თვისებათაგან ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ ნიშანს წარმოადგენს (რასაც ადასტურებს რამდენიმე კვლევის მონაცემიც (Chubinidze, 2018; Surmanidze, 1993). თუმცა ეს უკანასკნელი კულტურაში, ჯერ ერთი, საკმაოდ ფართო დიაპაზონითაა წარმოდგენილი (მოქნილობიდან გაიძვერობამდე), მეორეც, თავად მოქნილობის კატეგორია უაღრესად პოლისემანტიკურია და მისი პოზიტიური/ნეგატიური დატვირთულობა პიროვნების საქმიანობის კონტექსტიდან გამომდინარეობს.¹

¹ პიროვნების შეფასების კრიტერიუმები საზოგადოდ და მათი ორმაგი სემანტიკა ყალიბდებოდა ხანიერად კულტურულ პრაქტიკაში და გაჯერებულია წინა ეპოქების მსოფლმხედველობრივი ელემენტებით. იური ლოტმანის თვალსაზრისით, ასეთი წარმონაქმნები გასაგები ხდება მუასაუკუნეებში ჩამოყალიბებული უნივერსალური წყვილის – „ღირსება“/„დიდება“ – სემანტიკური სპეციფიკის გათვალისწინებით და მისი უმჭიდროესი კავშირით კატეგორიასთან

ამგვარად, წინამდებარე კლასტერი ასახავს მლიქვნელობის თვისებას, რომელიც წარმოდგენილია მლიქვნელობის და მასამბლობის კომპონენტებით, ამასთან, აქცენტირებულია და უპირატესობა ეძლევა ვერბალურ ზემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ ხუთფაქტორიანი მოდელის კულტურული ვერიფიკაციის პროცესში გამოვლენილია არაერთი პიროვნული თვისება, რომელსაც სხვა კულტურაში შეიძლება სრულიად განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა ჰქონდეს, მიუხედავად ლინგვისტური ეკვივალენტის არსებობისა. მაგალითად, მლიქვნელობის თვისება, რომელიც, ჩვენი კვლევის თანახმად, აშკარად ნეგატიური კონოტაციის მატარებელია. რ. დიას-ლოვინგის კვლევის მონაცემებით, მექსიკურ კულტურაში დადებითი კონოტაციის მქონე შესაბამისი ტერმინებითაა წარმოდგენილი. მკვლევრის აღნიშვნით, ამგვარი ქცევითი სტილისთვის ბუნებრივი „მეტისმეტობა“ მექსიკაში სასურველ ინტერპერსონალურ თვისებადაც კი მიიჩნევა, რასაც ის ხსნის მექსიკურ კულტურაში პიროვნულ ურთიერთობათა და სოციალურ ჯგუფში უკონფლიქტო გარემოს მაღალი ღირებულებით (Díaz-Loving, 1998).

შეჯამება

წინამდებარე კვლევის თანახმად, აგრესიის თვისების კულტურული მოდელის კომპონენტებად წარმოგვიდგება ექსპრესიული, დამაზარალელები და ინსტრუმენტული აგრესია; თვისების – „ალტრუიზმის“ სემანტიკური ლერძია უანგარობა, კვლევის კონტექსტში არსებით კომპონენტებად რეპრეზენტირებულია სოციალური მხარდაჭერის, უანგარო ურთიერთდახმარების თემები; თვისების – „მლიქვნელობა“- კულტურული მოდელის კომპონენტები რეპრეზენტირებულია ცხოველის ატრიბუტიკისა და ქცევითი დისპოზიციების ანალოგიით, გამოკვეთილია მრავალფეროვანი ვერბალური სპექტრის გამოყენებით, ანგარებიანი მიზნებით სხვა ადამიანზე ზემოქმედება ამ უკანასკნელის მერკანტილური მიზნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კულტურულ მოდელში, მლიქვნელობის ნეგატიური სემანტიკური დომინანტობის მიუხედავად, იდიომებით წარმოდგენილი სხვა კომპონენტები მოცემული კონტექსტის გარეთ შეიძლება ატარებდეს პოზიტიურ ან ნეიტრალურ კონოტაციას.

შექმნილი კატეგორიების ელემენტთა მსგავსების დასაბუთებაში წამყვანი როლი ენიჭებოდა აფექტურ იმპლიკაციებს (გრძნობებს), პერცეფტულ იმპლიკაციებს (მოსაზრებებს ჯგუფში გაერთიანებული ელემენტების მსგავსების შესახებ) და კოგნიტურ იმპლიკაციებს (კატეგორიების სახელდებას). ამგვარად, ზემოთ აღწერილი ყველა თვისება რეპრეზენტირებულია შესაბამისი კოგნიტური, აფექტური და ქცევითი კომპონენტებით.

კვლევით მიღებული შედეგები შესაბამისობაშია ქართული კულტურული სპეციფიკის შესახებ უკვე არსებული კვლევების მონაცემებთან, რომლებშიც განსხვავებუ-

„ღირებული/არაღირებული“. ქრისტიანულ კულტურებში ორგვარი მოდელით წარმოდგენილი „დიდების“ კატეგორია შესაბამისი დიქოტომიებით აღიწერება: ქრისტიანულ/საეკლესიო – დიქოტომიით „სამარადისო/მყისიერი“, საერო, ფეოდალურ/რანინდული კი დიქოტომიებით – დიდება/შერცხვენა, სახელოვანი/უსახელო, ხოტბა/დამდაბლება და ა.შ. (Lotman, 2002a, 2002b). ამგვარად, „ღირებული/არაღირებული“ ატრიბუტი განისაზღვრება კულტურული კონტექსტით.

პიროვნული თვისებები, როგორც კულტურული მოდელები: აგრესია, ალტრუიზმი, მლიქვნელობა
ლი მეთოდით, მხოლოდ ნაკლებ დეტალიზებულად და უფრო ფართო სემანტიკურ კონ-
ტექსტში გამოვლენილია პიროვნების შეფასების კრიტერიუმები (Surmanidze, 1993),
აგრეთვე, შესაბამისობაშია ქართული ადაპტაციური მოდელების კვლევის შედეგებ-
თან (Chubinidze, 2018).

გამოყენებული ლიტერატურა:

- Akhaladze, A. (2022). *Idiom expressions in Georgian and Turkish languages* [PhD status defending in Linguistics].
- Bateson, G. (2000). *Ecology of the Mind*. Meaning.
- Bennardo, G., & Munck, V. C. D. (2014). *Cultural Models: Genesis, Methods, and Experiences*. Oxford University Press.
- Blount, B. G. (2011). A History of Cognitive Anthropology. In *A Companion to Cognitive Anthropology* (pp. 9–29). John Wiley & Sons, Ltd. <https://doi.org/10.1002/9781444394931.ch1>
- Bock, P. K. (1988). *Rethinking psychological anthropology: Continuity and change in the study of human action* (pp. xii, 254). W H Freeman/Times Books/ Henry Holt & Co.
- Boehm, A. (2004). Chapter 5.13 “Theoretical Coding: Text Analysis in Grounded Theory”. In *A Companion to Qualitative Research*.
- Brefczynski-Lewis, J. A., Lutz, A., Schaefer, H. S., Levinson, D. B., & Davidson, R. J. (2007). Neural correlates of attentional expertise in long-term meditation practitioners. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 104(27), 11483–11488. <https://doi.org/10.1073/pnas.0606552104>
- Chen, C., Lee, S., & Stevenson, H. W. (1995). Response Style and Cross-Cultural Comparisons of Rating Scales Among East Asian and North American Students. *Psychological Science*, 6(3), 170–175. <https://doi.org/10.1111/j.1467-9280.1995.tb00327.x>
- Chkhaidze, T. (2021). *Fatalism – Georgian Cultural Model* [PhD status defending in Psychological Anthropology]. Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
- Chkhaidze, T., Chubinidze, D., & Gegenava, E. (2019). Fatalism – Georgian Cultural Model. *Prizren Social Science Journal*, 3(3), 41–52.
- Chubinidze, D. (2018). *Georgian proverbs and cultural models of adaptive behavior* [PhD status defending in Psychological Anthropology]. Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
- Church, A. T. (1987). Personality research in a non-Western culture: The Philippines. *Psychological Bulletin*, 102(2), 272–292. <https://doi.org/10.1037/0033-2909.102.2.272>
- Church, A. T., & Lonner, W. J. (1998). The Cross-Cultural Perspective in the Study of Personality: Rationale and Current Research. *Journal of Cross-Cultural Psychology*, 29(1), 32–62. <https://doi.org/10.1177/0022022198291003>
- D’Andrade, R. G. (1992). Schemas and motivation. In *Human motives and cultural models* (pp. 23–44). Cambridge University Press.
- D’Andrade, R. G. (1995). *The Development of Cognitive Anthropology*. Cambridge University Press.

- Díaz-Loving, R. (1998). Contributions of Mexican Ethnopsychology to the Resolution of the Etic-Emic Dilemma in Personality. *Journal of Cross-Cultural Psychology*.
<https://doi.org/10.1177/0022022198291006>
- Dressler, W., Balieiro, M., & Santos, J. (2017). Cultural Consonance in Life Goals and Depressive Symptoms in Urban Brazil. *Journal of Anthropological Research*, 73, 43–65.
<https://doi.org/10.1086/690610>
- Gudykunst, W., & Kim, Y. Y. (2002). *Communicating With Strangers: An Approach to Intercultural Communication* (4th edition). McGraw-Hill Humanities/Social Sciences/Languages.
- Inkeles, A., & Levinson, D. J. (1969). National character: The study of modal personality and sociocultural systems. In *The handbook of social psychology: Vol. 4(2)* (pp. 418–506).
- Javakhishvili, Iv. (1956). Man in ancient Georgian writing. In *Issues of the Georgian language and writing*.
- Lakoff, G., & Johnson, M. (1990). *Metaphors we live by/Metaphor theory*.
- Lancy, D. F. (2008). *The Anthropology of Childhood: Cherubs, Chattel, Changelings* (1st edition). Cambridge University Press.
- Lotman, Yu. M. (2002a). About the opposition “honor – Glory” in secular texts of the Kyiv period. In *Articles on the semiotics of culture and art* (pp. 439–455).
- Lotman, Yu. M. (2002b). Again about the concepts’ honor – Glory. In *Articles on the semiotics of culture and art in in: Lotman* (pp. 456–465).
- Markus, H., & Kitayama, S. (1991). Culture and the Self: Implications for Cognition, Emotion, and Motivation. *Psychological Review*, 98, 224–253. <https://doi.org/10.1037/0033-295X.98.2.224>
- Markus, H. R., & Kitayama, S. (1998). The Cultural Psychology of Personality. *Journal of Cross-Cultural Psychology*, 29(1), 63–87. <https://doi.org/10.1177/0022022198291004>
- Matsumoto, D., Yoo, S. H., Nakagawa, S., Alexandre, J., Unicapital, S., ō, S., Altarriba, J., Bauer, L., Granskaya, J., Grossi, E., De, F., André, S., Joshi, R., Mahmud, H., Mogaji, A., Sterkowicz, S., Wu, R., Drezgic, M., Pacoan, S., & Ward, C. (2008). Culture, Emotion Regulation, and Adjustment. *Journal of Personality and Social Psychology*, 94, 925–937. <https://doi.org/10.1037/0022-3514.94.6.925>
- Miller, G. A. (2003). The cognitive revolution: A historical perspective. *Trends in Cognitive Sciences*, 7(3), 141–144. [https://doi.org/10.1016/S1364-6613\(03\)00029-9](https://doi.org/10.1016/S1364-6613(03)00029-9)
- Nisbet, R., & Ross, L. (2000). *Man and situation*. Aspect-Press.
- Nisbett, R. (2004). *The Geography of Thought: How Asians and Westerners Think Differently... and Why*. Simon and Schuster.
- Perwin, L., & John, O. (2000). *Personality psychology. Theory and Research*. Aspect-press.
- Petrenko, V. F. (1988). *Psychosemantic consciousness*. MSU.
- Petrenko, V. F. (1997). *Fundamentals of psychosemancy*. MSU.
- Petrenko, V. F., & Mitina, O. V. (2010). Using psycho-semantic methods in political psychology. *Societal and Political Psychology International Review*.
- Quinn, N. (Ed.). (2005). *Finding Culture in Talk*. Palgrave Macmillan US. <https://doi.org/10.1007/978-1-137-05871-3>

They did not show it much in interpersonal communication, but when talking about Georgians it was emphasized how well migrants' children speak Georgian. It is worth noting how language and religion are preserved in mixed families. If a mother is Georgian, almost all children speak Georgian. In big towns they take children to Sunday schools if they can. In some families a father is also interested in studying Georgian and they also go to Sunday school. Narrative analysis also shows that in those families where German fathers are not very religious (this mostly happens when they are Catholics) all children are baptized as Orthodox Christians. According to the research participants, it is a form of preservation of the Georgian identity and 'non betrayal' of homeland.

In all families, whether Georgian or mixed, Georgian cuisine was considered the main attribute of identity. They also emphasized the Georgian version of hospitality: inviting a guest to one's home to a Georgian meal with plenty of food and drinks. The narratives emphasize how very special Georgian 'table' is with its abundance of food, which surprises the guests, but seems so natural to Georgians for whom it is a manifestation of a peculiarity of Georgian character.

“When you are invited somewhere here, it is expected that you have already had dinner, because they will serve ‘snack’ and drinks, only. But I can’t do that... I invite guests to dinner. When someone visits me, I should please the guest, right? And this is something Georgian which they love. My husband also loves it and our friends also like visiting us.”
(Woman aged 42)

Khinkali and *khachapuri* which are Georgian markers of Georgian cuisine are well known to everyone who is in touch with migrants. Migrants also perceive them as the attributes of the Georgian identity, of being a Georgian.

3. Perceptions and socialization – identity strategies

Integration of Georgian migrants into the local community is facilitated by different identity strategies. In response to the questions asked during the interview, the research participants talked about the similarities and differences between Georgians and the local society, similarities and differences within their ethnic group, relationships and attitudes.

The research participants who are Georgian migrants living in Germany most often use ‘pragmatic’, ‘differentiated’ and ‘transferred negative identity’ strategies.

Narrative analysis shows that ‘differentiated identity’ strategy is used quite often. When asked about the similarities and differences between the Georgians and Germans, Georgian immigrants in Germany, just like Georgian immigrants in Portugal and France (Pirtskhalava, 2017, 2021) see more differences than similarities.

What is the difference between the Georgians and the local society? As mentioned by most participants, it is the distance in relationships in the first place. They also emphasize that maintaining distance is their general trait. They not only keep distance when communicating with immigrants, but in their relationship with children as well. They keep distance in any kind of relationships, including their friends. One of the participants who thought that she was well integrated in local society and as opposed to other Georgians had German friends, said that Georgians and locals were different in their understanding of friendship:

“One of my closest German friends learned from me that her friend, who she introduced to me many years ago, was keen on skiing. She was very much surprised and asked me how I knew that. Differently from us, they do not ask questions. If you do not ask questions, people will not tell you about themselves. As for us, we ask questions. This is what makes difference.” (Woman aged 39)

Difference in the understanding of friendship was mentioned by all respondents. They also tried to explain this by certain circumstances:

“Our friendship is long-lasting, and even eternal. It does not matter where you are geographically, where you live. But those here abolish ‘friendship agreement’. They come to you and tell you that they are moving to another city and that we should stop our relationship as friends... It is shocking for us. This is another thing that makes difference.”
(Woman aged 43)

Our respondents, Georgian migrants in Germany as well as in Portugal and France (Pirtskhalava, 2017, 2021) also emphasized a different understanding of parenting style

and parent–child relationship. It is interesting to note that this difference was very positively evaluated by respondents:

“It is true that differently from us they do not hug or kiss their children every minute, but what I like very much is that they talk to their children. All family members sit around the table and ask the children what problems they have and discuss various family and private issues. This is not the case in our culture. Nobody asked us anything when we were children. As if everyone knew everything better than us. I like this and try to do the same in my relationship with my children.” (Woman aged 42)

The research participants noted that when living in Germany they somewhat interiorized German lifestyle and were trying to adopt it. They perceived this as a cultural exchange in the course of socialization, which is a good way to enrich your life and better adjust to the local environment.

The research participants' perceptions depend on their social status in their environment. In particular, Georgian immigrants who were in the university space said that no attention was paid to these differences and the fact that they were immigrants was not considered as something special.

*“In the academia it is not important who you are and where you are from.”
(Woman aged 48)*

However, those whose activity was not related to the academic space noted the following:

“No matter how well you are socialized, you are still an immigrant for them and you feel the difference every single moment.” (Man aged 49)

As for similarity, the respondents noted curiosity as a characteristic that could be found in both host and local societies.

“I thought that they were not interested in anything, but they know exactly who visits me, for how long, what she or he does. I found out this quite accidentally and I was really shocked... So, we are similar just in this way.” (Woman aged 36)

'Transferred negative identity' can be also frequently encountered in respondents' narratives. I think that as a strategy 'transferred negative identity' has been developed to avoid stigma, distance oneself from other Georgians like 'running boys' (the name for those who steal small things), 'thieves' and 'burglars', the Georgians who they reject, from whom they separate themselves in their narratives showing that they have nothing in common or who they try to avoid.

“I can't communicate with running boys.” (Man aged 40)

“I try not to be in touch with Georgians for this reason.” (Woman aged 27)

It should be noted that differently from the Georgian research participants in other countries (Portugal, 2016 and France 2017), the strategy of 'an invisible' is not used in Germany. Contrary to this, they try to be visible and choose the idealization of culture by emphasizing collective identity. They have enough potential for this as all immigrants have

German education and are registered and employed in German environment. This is also determined by the country's policy and education system which gives everyone a chance to receive education. Research participants noted that in the last years Frankfurt Book Fair (Frankfurter Buch Messe, 2020), hosted by Georgia, did contribute to the prominence of the Georgian identity. Many books were translated into German and German society got to know many Georgian authors. The research participants noted that this enabled Georgians to show their positive side. They no longer conceal their identity. According to the respondents, educated circles knew Georgia before because Germany is one of the countries which became interesting for Georgian migrants immediately after the disintegration of the Soviet Union.

Conclusion

The study aimed to examine Georgian migrants' perceptions and their attitude to Germany. As proved by other studies (Bhugra, 2004; Gäbel et al., 2006; Lersner, 2008), moving to another country might be related to psychological challenges. Psychological discomfort and cognitive dissonance accompany immigrants' lives (Fisher, 1990; Hassan & El Kinani, 2002; Thurber et al., 2007; Tilburg et al., 1996) and their integration into the host society. The given study shows that settling down in a host country and adjustment to a new culture and new society are often a stressful experience, which may have different manifestations. Georgian migrants use different compensatory strategies to cope with cognitive dissonance/psychological discomfort and homesickness, which is expressed at the identity maintenance level. Reduction of cognitive dissonance and psychological discomfort take place at both individual and collective levels.

The Georgian migrants participating in the study are especially scared of stigmatization from their own group living in Georgia, which can be described as a fear of 'betrayal of homeland' by living in the 'paradise of another country'. This is manifested in compensatory arguments and behaviors observed at individual and collective levels. Most study participants own property in Georgia to maintain bonds with homeland. And when they go back to Georgia they will stay at home and will no longer be guests. The respondents emphasize that they want their children, new generation, to grow up abroad, receive good European education and only after that start thinking about returning to Georgia, which means that they are not 'traitors' any more.

The compensatory arguments that are used at the collective level are the following: they send money to family members and close people and help 'Georgia's economic stability' in this way. By doing so they support their homeland and do not 'betray' it.

The narratives show that for the participants born in the Soviet Union, the compensatory strategies used to reduce cognitive dissonance/psychological discomfort and homesickness are more unconscious than for those respondents who were born after the disintegration of the Soviet Union.

As for categorization and identity strategies, Georgian immigrants place local, host society into a different category from the perspective of intergroup relationships. These are

judged in terms of friendship, the system of upbringing, parent-child relationship and the relationship between siblings.

Out of the individual identity sub-strategies, the research participants (Georgian immigrants in Germany) most often use 'pragmatic', 'differentiated identity' and 'transferred negative identity' strategies (Camilleri & Malewska-Peyre, 1996). Differentiation from the host society and identity strategies are the same as those used by Georgian migrants in Portugal and France (Pirtskhalava, 2017, 2021). The strategy 'invisible' is the only strategy which, differently from Georgian migrants in Portugal and France, is not used by the research participants/migrants living in Germany. I assume that this might be caused by migrants' social status and the migration policy of the host state. All the Georgian migrants in Germany, participating in the study, entered the country legally, were registered in the country, had legal employment and almost all of them used the opportunity of receiving higher education offered by the German government. This could explain the fact that there is no necessity of using the latter strategy.

Bibliography:

- Berry, J. W. (2001). A Psychology of Immigration. *Journal of Social Issues*, 57(3), 615–631. <https://doi.org/10.1111/0022-4537.00231>
- Bhugra, D. (2004). Migration and mental health. *Acta Psychiatrica Scandinavica*, 109(4), 243–258. <https://doi.org/10.1046/j.0001-690X.2003.00246.x>
- Camilleri, C., & Malewska-Peyre, H. (1980). Socialization and Identity Strategies. In *Handbook of Cross-cultural Psychology: Vol. Basic Processes and Human Development* (second, pp. 41–67).
- Camilleri, C., & Malewska-Peyre, H. (1996). Socialization and Identity Strategies. In *Handbook of Cross-Cultural Psychology* (2nd ed., 1–2, pp. 43–64).
- Chindea, A., Siar, S., Majkowska-Tomkin, M., Mattila, H., & Pastor, I. (2008). *Migration in Georgia: A country profile 2008*. Geneva: International Organization for Migration.
- Chkhartishvili, M. (2013). Georgian Nationalism and the Idea of Georgian Nation. *Codrul Cosminului*, 19, 189–206.
- Chumburidze, M., Ghvinadze, N., Gvazava, S., Hosner, R., Wagner, V., & Zurabishvili, T. (2015). *The State of Migration in Georgia*. ICMPD International Centre for Migration Policy Development.
- Collins, C. (2015). Homeland Mythology: Biblical Narratives in American Culture. In *Homeland Mythology*. Penn State University Press. <https://doi.org/10.1515/9780271056517>
- de Haas, H., & Fokkema, T. (2011). The effects of integration and transnational ties on international return migration intentions. *Demographic Research*, 25(24), 755–782. <https://doi.org/10.4054/DemRes.2011.25.24>
- Festinger, L. (1957). *A theory of cognitive dissonance* (pp. xi, 291). Stanford University Press.
- Fisher, S. (1990). Environmental change, control and vulnerability. *On the Move: The Psychology of Change and Transition*, 53–65.

- Fisher, S. (2016). *Homesickness, Cognition and Health*. Routledge.
<https://doi.org/10.4324/9781315636900>
- Gäbel, U., Ruf, M., Schauer, M., Odenwald, M., & Neuner, F. (2006). Prävalenz der Posttraumatischen Belastungsstörung (PTSD) und Möglichkeiten der Ermittlung in der Asylverfahrenspraxis. *Zeitschrift Für Klinische Psychologie Und Psychotherapie*, 35(1), 12–20.
<https://doi.org/10.1026/1616-3443.35.1.12>
- Gamsakhurdia, V. L. (2022). *Semiotic Construction of the Self in Multicultural Societies: A Theory of Proculturation*. Taylor & Francis Group.
- Goffman, E. (2009). *Stigma: Notes on the Management of Spoiled Identity*. Simon and Schuster.
- Gorgoshidze, K., Noack, M., Pilipenko, X., Sabadello, M., Wagner, V., Abesadze, G., Gachechiladze, N., & Keburia, M. (2014). *Georgian Diaspora and Migrant Communities in Germany, Greece and Turkey Transnational realities and ties with Georgia*. ICMPD International Centre for Migration Policy Development.
- Hassan, K. I., & El Kinani, I. A. (2002). Sudanese international migration: Causes and social and psychological effects. *Soc. Aff.*, 74, 43–62.
- Kim, B. S. K., Yang, P. H., Atkinson, D. R., Wolfe, M. M., & Hong, S. (2001). Cultural value similarities and differences among Asian American ethnic groups. *Cultural Diversity and Ethnic Minority Psychology*, 7(4), 343–361. <https://doi.org/10.1037/1099-9809.7.4.343>
- Lersner, U. von. (2008). *Flüchtlinge in Deutschland: Eine psychologische Analyse der Freiwilligen Rückkehr*. <http://kops.uni-konstanz.de/handle/123456789/10899>
- Padilla, B. (2006). *Redes sociales de los brasileiros recién llegados a Portugal: ¿solidaridad étnica o empatía étnica?* <https://doi.org/10.14198/ALTERN2006.14.4>
- Rashid, N. M. (n.d.). UNDP in Action—Annual Report 2010/2011. *United Nations and the Rule of Law*. Retrieved July 16, 2023, from <https://www.un.org/ruleoflaw/blog/document/undp-in-action-annual-report-20102011/>
- Sam, D. L., & Berry, J. W. (2006). *The Cambridge Handbook of Acculturation Psychology*. Cambridge University Press.
- Sammut, G. (2010). *Points of view and the reconciliation of identity oppositions: Examples from the Maltese in Britain*. <https://www.um.edu.mt/library/oar/handle/123456789/83171>
- Tajfel, H. (1974). Social identity and intergroup behaviour. *Social Science Information/Sur Les Sciences Sociales*, 13(2), 65–93. <https://doi.org/10.1177/053901847401300204>
- Thurber, C. A., Walton, E., & and the Council on School Health. (2007). Preventing and Treating Homesickness. *Pediatrics*, 119(1), 192–201. <https://doi.org/10.1542/peds.2006-2781>
- Tilburg, M. A. L. V., Vingerhoets, A. J. J. M., & Heck, G. L. V. (1996). Homesickness: A review of the literature. *Psychological Medicine*, 26(5), 899–912.
<https://doi.org/10.1017/S0033291700035248>
- Tsuladze, L. (2013). Western Imaginary and Imagined Defense Strategies of Eastern Europe and its Borderlands. *Central European Journal of International and Security Studies*, 7(4), 107–126.
- World Bank Report WB*. (1990).

World Bank Report WB. (2011).

World Bank Report WB. (2021).

Badurashvili, I., & Nadareishvili, M. (2012). *ემიგრაციისა და სოფელ-ქალაქს შორის მიგრაციის სოციალური გავლენა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.* [Social impact of immigration and rural-urban migration in Central and Eastern Europe].

Megreli, D. (1932). *ჩემი სიტყვა: ახალი ლექსები.* [My word: New poems] სახელგამი. (publisher Sakhelgami).

Eristavi, R., & Tsintsadze, S. (1974). *სამშობლო ხევსურისა: ლექსი.* ნაკადული (Motherland of a Khevsur, the Poem; Nakaduli Publisher).

Pirtskhalava, E. (2017). ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელები ჩრდილოეთ პორტუგალიაში. [Social networks of Georgian migrants in North Portugal] ქესჟ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 3(45), 32–46 (Journal Education Sciences and Psychology).

Pirtskhalava, E. (2021). ქართველი მიგრანტები საფრანგეთში: ჯგუფის შიგნით (ინტრა-ჯგუფური) და ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფური) ურთიერთობების აღქმა და შეფასებები. [Georgian migrants in France: Perception and evaluation of intragroup and intergroup relations]. ქესჟ :განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 1(58), 77–91 (Journal Education Sciences and Psychology).

Chavchavadze, I. (1860). ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედა. ცისკარი (A Short Comment on Count Revaz Eristavi's Translation of Kozlov's 'Madman', magazine Tsiskari).

ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტექტიკები: პიროვნული ნიშნების როლი

ხათუნა მარწყვიშვილი ¹

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

მაია მესტვირიშვილი

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

ლილი ხეჩუაშვილი

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

თეკლა ნემანიშვილი

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სოციალურ სამყაროში საკუთარი თავის სტრატეგიულად წარმოჩენა-თვითპრეზენტაციის ტექტიკები, სოციალური მეცნიერებების შესწავლის საგანს წარმოადგენს. პიროვნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდის ონლაინ ქცევის ფორმირებაში. თანამედროვე სოციალურ ქსელებში უხვად მოიპოვება ქცევის მანიშნებლები, მათ შორის თვითპრეზენტაციის ტექტიკები, რომლებიც მომხმარებელთა პიროვნებაზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს პიროვნული ნიშნებისა და „ფეისბუქის“ გამოყენების მოტივების ურთიერთმიმართების და თვითპრეზენტაციების იმ ტექტიკების შესწავლას, რომლებსაც ფეისბუქის მომხმარებლები საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ. მიზანი იყო პიროვნული ნიშნებისა და თვითპრეზენტაციის ტექტიკების ურთიერთმიმართებაში ფეისბუქის გამოყენების მოტივების როლის კვლევა. კერძოდ, კვლევის კითხვაა: გაშუალებული არის თუ არა პიროვნების ნიშნებისა და თვითპრეზენტაციის ტექტიკების კავშირი მოტივებით. შედეგებმა გამოავლინა, რომ პიროვნული ნიშნები წინასწარმეტყველებენ ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტექტიკებს. ისინი ინდივიდებს ფეისბუქის გამოყენების კონკრეტული მოტივებისკენ და, აქედან გამომდინარე, თვითპრეზენტაციის სპეციფიკური ტექტიკებისკენ წარმართავენ. ამასთან, პიროვნული ნიშნებისა და თვითპრეზენტაციის ტექტიკების ურთიერთმიმართება გაშუალებულია ფეისბუქის გამოყენების მოტივებით. წარმოდგენილი კვლევა ნათელს აფენს იმ მექანიზმებს, რომლითაც გარკვეულ პიროვნულ ნიშნებს, შესაძლოა, მივყავდეთ ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის გარკვეულ ტექტიკამდე.

საკვანძო სიტყვები: თვითპრეზენტაციის ტექტიკები, სოციალური ქსელები, პნელი ტრიადა, პიროვნების ექვსფაქტორიანი მოდელი

¹ ხათუნა მარწყვიშვილი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

შესავალი

ადამიანებს ოდითგანვე აღეგებდათ ის, თუ როგორ ჩანდნენ სოციალურ სამყაროში და საკუთარი თავის სტრატეგიულად წარმოჩენას ცდილობდნენ (Goffman, 1959), თუმცა სოციალური ქსელების პლატფორმების რაოდენობის მატებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამგვარ სოციალურ წამოწყებებზე. ისეთი სოციალური ქსელი, როგორც ფეისბუქია, სოციალურ მეცნიერებებს რეალურ გარემოში ქცევაზე დაკვირვებისა და სხვადასხვა ქვეყნიდან და დემოგრაფიული ჯგუფიდან კვლევის მონაწილეებზე წვდომის უნიკალურ საშუალებას სთავაზობს (Wilson et al., 2012). თანამედროვე სოციალურ ქსელებში უხვად მოიპოვება ქცევის მანიშნებლები, მათ შორის, თვითპრეზენტაციის ტაქტიკები, რომლებიც მომხმარებელთა პიროვნებაზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს.

ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკები სოციალური მედიის მკვლევართა შესწავლის საგანს წარმოადგენს. სოციალურ მედიაში თვითპრეზენტაცია არის ქცევა, რომლითაც ინდივიდი საკუთარ თავს წარუდგენს სხვებს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის სტრატეგიები შეეხება იმას, თუ როგორ ახდენენ ინდივიდები თვითმოდისფიკაციას, რათა მეტად სასურველი სახით წარმოიჩინონ თავი სოციალურ ქსელში. ფეისბუქზე თვითპრეზენტაცია, დიდწილად, შერჩევით ექსპოზიციას, სოციალურ შედარებასა და იდენტობის მართვაზეა ფოკუსირებული. ამ ტენდენციების ძირითადი მიზეზი, ნაწილობრივ მაინც, უკავშირდება გარეგნობისა და სოციალური შთაბეჭდილების მართვის მოთხოვნილებას და ეს სწორედ ის მომენტია, როდესაც თვითმოდისფიკაცია იწყებს მოქმედებას.

უხვად შემოთავაზებული ისეთი ქცევითი ინფორმაციის გამოყენებით, როგორც თვითპრეზენტაციის ტაქტიკებია, ინდივიდების პიროვნული ნიშნების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ (Shen et al., 2015), ან სოციალურ მედიაში პიროვნული ნიშნების ციფრული კვალის პრედიქტორული ღირებულების შესახებ გავაკეთოთ დასკვნები (Azucar et al., 2018). პიროვნული ნიშნები ონლაინ ქცევის, კერძოდ, თვითპრეზენტაციის ტაქტიკების წინასწარმეტყველებისთვისაც შეიძლება გამოგვადგეს (Akbari et al., 2023; Amichai-Hamburger & Vinitzky, 2010; Ross, et al., 2009; Carpenter et al., 2011; Seidman, 2013; Lee, Ahn, & Kim, 2014; Marino et al., 2018; Moore K. &, 2012; Sindermann et al., 2020; Rajesh & Rangaiah, 2022). კვლევათა დიდი ნაწილი დიდი ხუთეულის ნიშნებზე, მორცხვობასა და მარტობაზე ახდენს ფოკუსირებას Fox & Rooney, 2015). ზოგი მკვლევარი ფეისბუქზე ქცევის კონტექსტში ბნელ ტრიადასა და ექვსფაქტორიან მოდელებში (HEXACO) შემავალი პიროვნული ნიშნებით ინტერესდება (მაგალითად, იხ. Brown et al., 2023; Garcia & Sikström, 2014; Fox & Rooney, 2015; Freyth et al., 2023; Nitschinsk et al., 2022; Pabian et al., 2015; Goodboy & Martin, 2015; Grieve & Watkinson, 2016; Zafar et al., 2018). თუმცა, ეს კვლევები არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს ფეისბუქის გამოყენების სხვადასხვა მოტივი პიროვნული ნიშნებისა და ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის სტრატეგიების ურთიერთმიმართებაში; არც იმაზე, თუ რამდენად შეიძლება იყოს გაშუალებული ეს ურთიერთმიმართება ამ მოტივებით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევაში ფეისბუქის მოხმარების ორი კომპონენტი – მოტივები და თვითპრეზენტაციის ტაქტიკებია გაანალიზებული. ასევე, შესწავლილია, რამდენად წინასწარმეტყველებს პიროვნული ნიშნები ფეისბუქის გამოყენების მოტივებს და თვითპრეზენტაციის რომელ სტრატეგიებს იყენებენ ადამიანები ამ მიზნების მისაღწევად. არსებულ რელევანტურ ლიტერატურაში მწირია სოციალური ქსელის გამოყენების მოტივებსა და განზრახვებზე პიროვნული ნიშნების გავლენის კვლევები. ამასთან, არ მოიპოვება მონაცემები მოტივების შესაბამისი თვითპრეზენტაციების ტაქტიკების შესახებ, რომლებსაც სოციალური ქსელების მომხმარებლები ამ მიზნების მისაღწევად იყენებენ. მოცემულ კვლევას თავისი წვლილი შეაქვს სოციალური მედიისა და პიროვნული ნიშნების ურთიერთმიმართების გაგებაში და ციფრული ლანდშაფტის ემპირიულად კვლევის საშუალებას გვაძლევს.

ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკები

ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკებს განეკუთვნება ინდივიდის მიერ საკუთარი ონლაინ იდენტობის მიზანმიმართული მართვა და კონტროლი, სპეციფიკური ხატების შექმნითა და სხვებზე გარკვეული შთაბეჭდილებების მოხდენის მეშვეობით. ამ პროცესზე მიღების, აღიარებისა და სოციალური ვალიდაციის სურვილი ახდენს გავლენას. სოციალურ მედიაში საკუთარი თავის წარმოჩინებისას ადამიანები ისეთი სტრატეგიების გამოყენებას ცდილობენ, რომლებიც მეტი პატივისცემისა და მოწონების მოპოვებაში დაეხმარება. როდესაც გადანყვეტილებას იღებენ, თუ როგორ წარმოჩინდნენ ონლაინ, მოსალოდნელია სასურველი მახასიათებლებისა და ნიშნების გაზვიადება (Bareket-Bojmel et al., 2016). ფეისბუქისნაირი სოციალური მედიის პლატფორმების განვითარებამ ინდივიდებს იმის არნახული შესაძლებლობა მისცა, რომ თავად აერჩიათ, როგორ იქნენ აღქმულნი სოციალურ ქსელში. ზოგჯერ ადამიანები „ფეისბუქ-სელფის“ ყალბ იმიჯსაც ქმნიან, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება (უკეთესია) მათი რეალური სელფისგან (მაგ., იხ. Gil-Or et al., 2015; Michikyan et al., 2015; Turel & Gil-Or, 2019).

ზოგადად, მკვლევრები თანხმდებიან თვითპრეზენტაციის სხვადასხვა ტაქტიკის არსებობაზე. ლისა და კოლეგების (1999) მიხედვით, თვითპრეზენტაციის ტაქტიკები არის ხანმოკლე ინტერპერსონალური მიზნების მისაღწევად, სხვებზე შთაბეჭდილების მოსახდენად გამოყენებული ქცევები. ისინი განასხვავებენ თვითპრეზენტაციის ასერტიულ და თავდაცვით ტაქტიკებს. პირველი გარკვეული შთაბეჭდილების შექმნასა და შენარჩუნებას ემსახურება, მეორე კი მაშინ გამოიყენება, როდესაც სასურველი შთაბეჭდილება არაეფექტური აღმოჩნდება ან საფრთხე დაემუქრება მას.

ასერტიული თვითპრეზენტაციის ცნება ფეისბუქისნაირი სოციალური მედიის პლატფორმების კონტექსტში შთაბეჭდილების მართვის (Goffman, 1959), თვითშეფასებისა და სოციალური იდენტობის თეორიებს განეკუთვნება. ფეისბუქზე ასერტიული თვითპრეზენტაციის ტაქტიკები მიზანმიმართული სტრატეგიებია, რომლებსაც ინდივიდი საკუთარი თავის თავდაჯერებულად წარმოსაჩენად იყენებს. უწყობენ რა ხელს სხვებში პატივისცემისა და აღტაცების გამოწვევას, ეს ტაქტიკები ძლიერი და დადებითი პერსონალური იმიჯის დამკვიდრების მიზანს ემსახურება.

ფეისბუქის გამოყენების მოტივები

მკვლევრები თვლიან (Nadkarni & Hofmann, 2012), რომ სოციალური მედიის გამოყენების ერთ-ერთ ძირითად მოტივს თვითპრეზენტაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოადგენს. ის სელფის სხვადასხვა ასპექტის წარმოჩენის შესაძლებლობას ქმნის; ასპექტებისა, რომლებიც მომხმარებლებმა, შესაძლოა, საერთოდ ვერ გამოავლინონ რეალურ ცხოვრებაში (Seidman, 2014; Tosun, 2012). გამოყენებისა და დაკმაყოფილების თეორია¹ ერთ-ერთი ყველაზე ნაკვლევია და გამოყენებადი მოდელია მედიის გამოყენების ფსიქოლოგიური მოტივების კვლევის სფეროში (McQuail, 1985). ამ მიდგომის მიხედვით, ინდივიდს მიზნით მართული პრიორიტეტები აქვს კომუნიკაციის არსების შერჩევისას. იგი სპეციფიკურ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იმის მიხედვით არჩევს, თუ რამდენად ეფექტურად ემსახურება ინდივიდის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სხვა ვარიანტებთან შედარებით (Joinson et al., 2008).

ფეისბუქის გამოყენების რამდენიმე მოტივი კარგადაა ნაკვლევია. ზოგი ინდივიდი ფეისბუქს იმ ადამიანებთან ურთიერთობის გასამყარებლად და შესანარჩუნებლად იყენებს, რომლებსაც რეალურად შეხვდნენ ან დაუმეგობრდნენ (Ellison et al., 2007, Joinson et al., 2008, Lampe et al., 2006; Alam et al., 2011; Clark et al., 2007; Urista, Dong & Day, 2009). შედარებით იშვიათად, ფეისბუქს ახალი ადამიანების მოსაძებნად და გასაცნობად იყენებენ (Ellison et al., 2007, Joinson et al., 2008, Lampe et al., 2006).

პოსტების განთავსება, კომენტარების დატოვება და გაზიარებული ფოტოების მიზმა ფეისბუქის გამოყენების კიდევ ერთი, ცალკე მდგომი მოტივია. ფეისბუქი საშუალებას აძლევს თავის მომხმარებლებს, რომ ხშირად გამოჩნდნენ, აღიარება და სოციალური ვალიდაცია მოიპოვონ. ისინი პოპულარობას ესწრაფვიან, რაც დიდი რაოდენობით მონონების, კომენტარებისა და გაზიარების დაგროვების საშუალებით მიიღწევა, ვინაიდან ეს ინტერაქციები მათი პოსტების პოპულარობისა და სოციალური მიღების ინდიკატორებს წარმოადგენს. ზოგიერთი მომხმარებელი, შესაძლოა, მიზანმიმართულად ქმნიდეს ისეთ პოსტებს, რომლებიც ყურადღებას მიიპყრობს და დააინტერესებს სხვა ადამიანებს. მომხმარებლები პოპულარობის მოსაპოვებლად მიმდევართა რიცხვის გაზრდას ცდილობდნენ, ვინაიდან დიდი რაოდენობის მიმდევარი მოცემულ პლატფორმაზე პოპულარობისა და გავლენის საზომად მიიჩნევა.

ფეისბუქის გამოყენების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოტივი სხვა ადამიანების საქმიანობის შესახებ საქმის კურსში ყოფნის სურვილია. მკვლევრები (Rau, et. a., 2008) ერთმანეთისგან განასხვავებენ აქტიურ მომხმარებლებს, რომლებიც აქტიურად აქვეყნებენ პოსტებსა და კომენტარებს და „დამკვირვებლებს“, ანუ მათ, ვინც პასიურად აკვირდება სხვების ონლაინ აქტივობებს. აქტიური მონაწილეობა აქტიურ ჩართულობასა და ურთიერთქმედებას მოიცავს მაშინ, როცა მალულად ყოფნა, აქტიური ჩართულობის გარეშე, სხვების პოსტებისა და კომენტარების რეგულარულად კითხვას გულისხმობს. ონლაინ კომუნიკაციის ნებისმიერ სისტემაში, ფეისბუქის ჩათვლით, აუცილებლად მოიაზრებს როგორც აქტიურ, ისე პასიური მომხმარებლების ყოფნისა და მოტივაციის გათვალისწინებას.

¹ Uses and Gratification Theory

ფეისბუქის გამოყენების კიდევ ერთი მოტივი გართობა (Sheldon & Gevorgyan, 2008; Park et al., 2009) და დროის გაყვანა (Foregger, 2008; Sheldon & Gevorgyan, 2008). ზოგი ადამიანი პლატფორმას მოსადუნებლად და დასასვენებლად მიმართავს. 2009 წელს პენინგტონის მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელშიც ფეისბუქის მომხმარებლები გამოკითხეს, დაადასტურა, რომ ფეისბუქის გამოყენების უპირველეს მიზანს მეგობრებთან ურთიერთობა წარმოადგენდა, მეორე მნიშვნელოვან მიზანს კი – „ყურადღების გადატანა/გაჭიანურება.“ ეს შედეგები კიდევ ერთხელ გამოკვეთს სოციალური ქსელის პლატფორმის როლს გართობაში, მონყენილობის გაქარვებასა თუ დასვენებაში.

ფეისბუქის სოციალური გარემო ხელს უწყობს სოციალურ შედარებას, როდესაც მომხმარებლები საკუთარ პოპულარობასა და სოციალურ სტატუსს სხვისას ადარებენ. ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, ფეისბუქს იმ მოტივით მოიხმარდეს, რომ იქ მოპოვებული პოპულარობით გაიუმჯობესოს აღქმული სოციალური პოზიცია თანატოლებთან მიმართებით (Foregger, 2008).

მკვლევრები მიიჩნევენ (Nadkarni & Hofmann, 2012), რომ ფეისბუქის გამოყენების მოტივი ორი ბაზისური – მიკუთვნებულობისა და თვითპრეზენტაციის – მოთხოვნილებიდან მომდინარეობს. ადამიანები უაღრესად დამოკიდებულნი არიან სხვების მიერ სოციალურ მიღებაზე. იყო სოციალურად მისაღები, რაც გულისხმობს თავის მხიარულ ინდივიდად წარმოჩენას, ვისთან ერთადაც გართობა ღირს ან მოსაწონ საინტერესო პიროვნებად ყოფნას, ვისთან დროის გატარებაც სასიამოვნოა, ფეისბუქის მოხმარების მნიშვნელოვანი მოტივი შეიძლება იყოს. ეს მოტივაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სპეციფიკური (მაგალითად, ბნელი ტრიადის) პიროვნული ნიშნების მქონე ადამიანებისთვის. კვლევა სისტემატურად აჩვენებს, რომ ბნელი ტრიადა ფეისბუქის მოხმარების სხვადასხვა მოტივს უკავშირდება. მაგალითად, კვლევამ გამოავლინა კავშირი ბნელი ტრიადის პიროვნულ ნიშნებსა და ფეისბუქის მოხმარების ისეთ მოტივებს შორის, როგორებიცაა გართობა, კომუნიკაცია და თვითგამოხატვა (Tang et al., 2022). ასევე, ვიცით, რომ ნარცისიზმი სოციალური მედიის გამოყენების ისეთ მოტივებთან ასოცირდება, როგორებიცაა სასურველი უკუკავშირის – „მონონებების“ – ხშირად ძიება და მიღება (Dumas et al., 2017). ამასთან, როგორც ჩანს, ნარცისისტული ინდივიდები ხშირად არიან დაკავებულნი როგორც თვითრეკლამირებით (Carpenter, 2012), ისე – „სელფების“ გაზიარებით (Fox & Rooney, 2015). ნარცისიზმი ბნელი ტრიადის ყველაზე რელევანტური ნიშანია, როდესაც თვითპრეზენტაციას, მონონებისა და ონლაინ აღტაცების აქტიურ ძიებას ეხება საქმე (Lyons, 2019). ყოველივე ზემოთ თქმული გვაფიქრებინებს, რომ ბნელი ტრიადის ნიშნებისა და თვითპრეზენტაციის სტრატეგიების ურთიერთმიმართება ფეისბუქის გამოყენების ისეთი მოტივით უნდა იყოს გაშუალებული, როგორიც თანატოლებთან „მაგარ ტიპად“ გამოჩენის სურვილია.

პიროვნული ფაქტორები და ფეისბუქის გამოყენება

პიროვნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდის ონლაინ ქცევის ფორმირებაში. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც პიროვნულ ნიშნებსა და ფეისბუქში ინდივიდის აქტივობას შორის კავშირს ვუყურებთ. მრავლად მოიძებნება პიროვნული

ნიშნებისა და ფეისბუქის გამოყენების ურთიერთმიმართების კვლევა (მიმოხილვისთვის იხ. Akbari et al., 2022; Carvalho & Pianowski, 2017; Liu & Campbell, 2017; Marino et al., 2018; Rajesh & Rangaiah, 2022). ფეისბუქში ქცევაზე პიროვნების გავლენის კატეგორიზირებისთვის ყველაზე ხშირად ხუთფაქტორიანი მოდელის (ექსტრავერსია, ნევროტიზმი, კეთილგანწყობა, გამოცდილებისადმი ლიაობა და პატიოსნება) თეორიული ჩარჩო გამოიყენება (McCrae, & Costa, 1999). ზოგადად, ექსტრავერსია და ლიაობა სოციალურ ქსელში აქტივობის (მაგალითად, თამაშის, ონლაინ ურთიერთქმედებისა და ა. შ.) ყველაზე მძლავრ პრედიქტორებს წარმოადგენენ მაშინ, როცა პატიოსნება, ნევროტიზმი და კეთილგანწყობა მხოლოდ რამდენიმე ცალკეულ აქტივობასთან ასოცირდება (Liu & Campbell, 2017). ფეისბუქის მომხმარებლებს ექსტრავერსიის უფრო მაღალი და პატიოსნების უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე მათ, ვინც არ მოიხმარს მას (Sindermann et al., 2020). ბოლოდროინდელმა მეტაანალიზმა (Huang, 2019) აჩვენა, რომ, მთლიანობაში, სოციალური ქსელის ვებგვერდების გამოყენება სუსტად დადებითად უკავშირდება ნევროტიზმსა და ექსტრავერსიას, სუსტად უარყოფითად – პატიოსნებას, ხოლო ლიაობასა და კეთილგანწყობასთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ დასტურდება.

ისინი, ვისაც ექსტრავერსიის მაჩვენებელი მაღალი აქვს, ფეისბუქზე უფრო მეტ ჯგუფში არიან გაერთიანებულნი (Ross, et al., 2009) და მეგობარიც მეტი ჰყავთ (Amichai-Hamburger & Vinitzky, 2010). ამასთან, ექსტრავერსია დადებითად კორელირებს ფეისბუქზე აქტივობის დონესთან (Michikyan et al., 2014). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ კვლევებით არ დასტურდება კავშირი ექსტრავერსიასა და ფეისბუქის გამოყენების სიხშირეს შორის (Skues et al., 2012). მეორე მხრივ, ექსტრავერსია მოჭარბებულ ონლაინ თვითრეკლამირებაში გამოიხატება (Gosling et al., 2011). ექსტრავერსიის მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები საკუთარი თავის წარმოჩენის ტენდენციით ხასიათდებიან და ფეისბუქზე სტრატეგიულ თვითპრეზენტაციას მიმართავენ (Seidman, 2013).

მართალია, კეთილგანწყობა რეალურ ცხოვრებაში წარმატებულ მეგობრობასა და რომანტიკურ ურთიერთობებთან ასოცირდება, ფეისბუქის კონტექსტში არ ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი (Ross, et al., 2009). კეთილგანწყობა დადებითად უკავშირდება ფეისბუქზე საკუთარი რეალური სელფის გამოხატვის ტენდენციას (Seidman, 2013). ის სოციალურ ქსელში მწირ აქტივობასთანაც კორელირებს და არ დასტურდება მნიშვნელოვანი კავშირი სოციალური ქსელის გამოყენებასთან (Huang, 2019). გარდა ამისა, კეთილგანწყობა, შესაძლოა, სოციალურ მედიაზე მიჯაჭვისგან დამცავ ფაქტორს წარმოადგენდეს (Huang, 2022). გამოცდილებისადმი ლიაობის მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები აღნიშნავენ, რომ ხშირად პოსტავენ სხვა ადამიანების ფეისბუქ-კედელზე (Carpenter et al., 2011). ისინი ფეისბუქს რეალური ცხოვრების ურთიერთობების ასაწყობად, სხვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და მათთან ერთად აქტივობების დასაგეგმად იყენებენ (Carpenter et al., 2011).

დაბალი თვითშეფასების მქონე ნევროტული ინდივიდები თავიანთი იდეალური სელფის პრეზენტაციისკენ არიან მიდრეკილნი და არა – რეალურისა (Seidman, 2013). ასე რომ, ისინი ხშირად ფეისბუქზე თავად წარმოაჩენენ თავიანთ როგორც რეალურ,

ისე – ვირტუალურ ცხოვრებას (Seidman, 2013). მეტიც, როგორც ერთ-ერთი კვლევა აჩვენებს, მათი თვითპრეზენტაცია სტრატეგიულია (Michikyan et al., 2014). ზოგადად, ნევროტიზმისა და სოციალური ქსელების გამოყენების ურთიერთმიმართების შესახებ მონაცემები არაერთგვაროვანია. კერძოდ, ზოგი კვლევა ზომიერ დადებით (Giota & Kleftras, 2013; Wang & Ching, 2013) კავშირზე მიუთითებს, ზოგი – სუსტ დადებით (Huang, 2019; Michikyan et al., 2014), ანდა სულაც ნულოვან კორელაციაზე (Garcia & Sikström, 2014). მაშინ, როცა სხვა კვლევები ნევროტიზმსა და სოციალური ქსელების მოხმარებას შორის უარყოფით კავშირს აჩვენებენ Lee et al., 2011; Marino et al., 2016; Moore & McElroy, 2012). ნევროტიზმი დადებითად უკავშირდება სელფის იდეალური და ფარული ასპექტების გამოხატვას (Seidman, 2013) და ფეისბუქის გამოყენების აშლილობის განვითარების ტენდენციას (Sindermann et al., 2020). ის სოციალურ მედიაზე დამოკიდებულების რისკფაქტორია და დადებითად კორელირებს სოციალური მედიის ადიქციურ გამოყენებასთან (Marengo et al., 2020).

პატიოსნების მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდები ნაკლებად იყენებენ სოციალური ქსელის ვებგვერდებს (Ryan & Xenos, 2011). ის უარყოფითად კორელირებს ფეისბუქის გამოყენების აშლილობისკენ მიდრეკილებასთანაც (Sindermann et al., 2020). საინტერესოა, რომ რეალური ცხოვრებისგან განსხვავებით, პატიოსნების მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები არ გამოიჩენიან ფეისბუქზე წინდახედულობითა და სიფრთხილით და ხშირად ეუფლებათ სინანული პოსტის დადების შემდეგ (Moore & McElroy, 2012); თუმცა, ერთ-ერთი კვლევა აჩვენებს, რომ ასეთი ადამიანები ფრთხილბენ ფეისბუქზე საკუთარი თავის წარმოჩენისას (Seidman, 2013), ხოლო პატიოსნება სოციალურ მედიაზე დამოკიდებულებისგან დამცავ ფაქტორს წარმოადგენს (Huang, 2022).

ნაკვლევა ბნელი ტრიადის პიროვნულ ნიშნებსა (მაკიაველიანიზმი, ნარცისიზმი და ფსიქოპათია) (Paulhus & Williams, 2002) და ფეისბუქის მოხმარებას შორის კავშირიც. ბნელი ტრიადა ისეთ სოციალურად არასასურველ ქცევებს აერთიანებს, როგორცაა თვითრეკლამირება, ემოციური სიცივე, ორპირობა და აგრესიულობა (Paulhus & Williams, 2002). როზენბერგის (2011) მიხედვით, მაკიაველიანიზმი ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკების მნიშვნელოვანი პრედიქტორია. მაკიაველიანიზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ადამიანები ფეისბუქზე თვითრეკლამირებისა და მანიპულაციის ტენდენციით ხასიათდებიან და ეს მათი თვითპრეზენტაციის სტრატეგიებია (Rosenberg & Egbert, 2011).

ნარცისიზმი ფეისბუქის კონტექსტში ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი ნიშანია (Buffardi & Campbell, 2008). კვლევა კონსისტენტურად აჩვენებს, რომ ის არსებით როლს ასრულებს სოციალური მედიის გამოყენებასა და ამ პლატფორმაზე განხორციელებულ ქცევაში – ნარცისიზმი დადებითად უკავშირდება როგორც ფეისბუქზე აქტივობის დონეს (Mehdizadeh, 2010), ისე – ფეისბუქ-მეგობრებისა და პოსტების რაოდენობას (Buffardi & Campbell, 2008). გარდა ამისა, ნარცისული ინდივიდებისთვის ჩვეული ტენდენციაა ფეისბუქის ახალი კავშირების დამყარების საშუალებად გამოყენება (Eşkisu et al., 2017). ნარცისიზმი დადებითად კორელირებს ფეისბუქ მეგობრების მხრიდან აღტაცების სურვილთან (Davenport et al., 2014), ფეისბუქზე ყოფნისთვის

მინიჭებულ მნიშვნელობასთან (Blachnio et al., 2016) და თავად პლატფორმაზე ემოციურ მიჯაჭვულობასთან (Blachnio & Przepiorka, 2018). როგორც ერთ-ერთი კვლევა გვიჩვენებს, სოციალურ ქსელში ნარცისული ადამიანების მიერ ატვირთული ფოტოები მეტი თვითრეკლამით გამოირჩევა (Buffardi & Campbell, 2008). მათ პოსტებში მეტად შევხვდებით სელფებს (Kim & Chock, 2017) და ნარცისიზმის ზოგიერთი განზომილება მომხმარებელთა მიერ გადაღებული სელფების სპეციფიკურ კატეგორიას უკავშირდება (Barry et al, 2015). ისინი ხშირად პოსტავენ ფოტოებს, რომლებზეც მათი მატერიალური ქონებაა აღბეჭდილი (Scott et al., 2018) და ხშირად აახლებენ სტატუსს თავიანთი მიღწევების თაობაზე (Marshall et al., 2015). ასევე, მეტაანალიზი (McCain & Campbell, 2018) ნარცისიზმსა და სოციალურ მედიაში სხვადასხვა აქტივობას შორის მნიშვნელოვან კავშირს აჩვენებს. აქ შედის დადებითი კორელაცია პლატფორმაზე გაცხადებულ მეტ დროსთან, მეგობრების უფრო ფართო წრესთან, მიმდევართა მეტ რაოდენობასთან და განახლებული სტატუსის (ფეისბუქზე), ტვიტების, სელფებისა და მათ მიერ გადაღებული ფოტოების უფრო ხშირად გაზიარებასთან.

კვლევა აჩვენებს, რომ ვირტუალური სივრცე თვითპრეზენტაციას უფრო თამამს ხდის (Subrahmanyam et al., 2006). ფეისბუქი ხელს უწყობს მორცხვ ადამიანებს, რომ თავი აარიდონ პირისპირ კომუნიკაციას და წარმატებით მართონ დაგეგმილი და თანმიმდევრული თვითპრეზენტაცია (Ellison et al., 2007). კვლევის მიხედვით, ადამიანები, ზოგადად, ამჯობინებენ, რომ არ იცრუონ და ფეისბუქზე თავიანთი რეალური სელფი წარმოაჩინონ, თუმცა საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციას შერჩევითად აზიარებენ (Zarghooni, 2007). როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე – ფეისბუქზე ისინი თვითპრეზენტაციის სპეციფიკურ ტაქტიკებს იყენებენ (Rosenberg, 2011). ლიი და კოლეგები (2014) თვითპრეზენტაციის ორ ფართო კატეგორიაზე საუბრობენ. ესენია: თავდაცვითი და ასერტიული, რომლებიც სხვადასხვა ინტერპერსონალურ მიზანს ემსახურება. „ასერტიული თვითპრეზენტაცია იდენტობის განვითარების ან შექმნის საშუალებას წარმოადგენს, ხოლო თავდაცვითი ტაქტიკები შელახული იდენტობის დასაცავად ან აღსადგენად არის მოწოდებული“ (Lee et al., 2014).

წინამდებარე კვლევა

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს პიროვნული ნიშნებისა და „ფეისბუქის გამოყენების მოტივების ურთიერთმიმართების და თვითპრეზენტაციების იმ ტაქტიკების შესწავლას, რომლებსაც ფეისბუქის მომხმარებლები საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ. უფრო კონკრეტულად, ჩვენი მიზანი შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემაა: როგორ უკავშირდება ბაზისური (HEXACO მოდელი) და ავერსიული („ბნელი ტრიადა“) პიროვნული ნიშნები ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკებს? რამდენად თანხვდება ფეისბუქის მომხმარებელთა მოტივები სოციალურ ქსელებში თვითპრეზენტაციის სტრატეგიებს? გაშუალებულია თუ არა პიროვნული ნიშნებისა და თვითპრეზენტაციის სტრატეგიების ურთიერთმიმართება ფეისბუქის გამოყენების მოტივებით? მოველოდით, რომ (ა) პიროვნული ნიშნები ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკების პრედიქტორი იქნებოდა; (ბ) პიროვნული ნიშნები ფეისბუქის გამოყენების კონკრეტულ

ხათუნა მარწყვიშვილი, მაია მესტირიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, თეკლა ნემანიშვილი

მოტივებამდე და, შესაბამისად, თვითპრეზენტაციის სპეციფიკურ ტაქტიკებამდე მიიყვანდა ინდივიდებს და ბოლოს, (გ) პიროვნული ნიშნებისა და თვითპრეზენტაციის ტაქტიკების ურთიერთმიმართება გაშუალებული იქნებოდა ფეისბუქის გამოყენების მოტივებით.

მეთოდი

მონაწილეები და პროცედურა

კვლევაში ფეისბუქის 231-მა მომხმარებელმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა ასაკი 18-დან 28 წლამდე ($M_{ასაკი}=20.05$; $SD=2.47$) მერყეობდა. ხელმისაწვდომი თოვლის გუნდის პრინციპით შექმნილ შერჩევა შედეგობდა 144 ქალისა (62.4%) და 87 კაცი-საგან (37.7%). მონაწილეთა 84.4% სტუდენტი იყო, დანარჩენს კი უმაღლესი (12.1%) ან საშუალო (3.4%) განათლება ჰქონდა. მონაწილეთა უმრავლესობას (75.3%) ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები შეადგენდნენ. რაც შეეხება კვლევის მონაწილეთა ოჯახურ მდგომარეობას, 95.2% დაუოჯახებელი იყო, დანარჩენი კი – დაქორწინებული (2.6%) ან განქორწინებული (0.4%).

ყველა მონაწილე ინფორმირებული იყო კვლევის მიზნებისა და ნებისმიერ დროს კვლევის ახსნა-განმარტების გარეშე დატოვების შესაძლებლობის შესახებ. მათ, ასევე, იცოდნენ, რომ მათი პასუხები კონფიდენციალურად შეინახებოდა და მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის იქნებოდა გამოყენებული. ყველა მათგანისგან მიღებულ იქნა წერილობითი ინფორმირებული თანხმობა. კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო და ამისათვის მონაწილეებს არანაირი ჯილდო ან ანაზღაურება არ მიუღიათ.

კვლევის ინსტრუმენტები

ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკების გასაზომად თვითპრეზენტაციის ტაქტიკის სკალა (Lee et.al., 1999) გამოვიყენეთ, რომლის თითოეულ დებულებას დავამატეთ ფრაზა „ფეისბუქზე...“. ეს არის 12 ქვესკალად გაერთიანებული 63 დებულებისგან შემდგარი ინსტრუმენტი, რომლის თითოეული დებულება ლიკერტის ტიპის 7-ქულიან სკალაზე ფასდება (1 = ძალიან იშვიათად და 7 = ხშირად) და თვითპრეზენტაციის 12 ტაქტიკას (გამართლება (0.792), პასუხისმგებლობის თავიდან არიდება (0.742), ბოდიშის მოხდა (0.729),

პატიების თხოვნა (0.812), საკუთარი თავისთვის დაბრკოლების შექმნა (0.666), გულის მოგება (0.793), სანიმუშოობა (0.812), დაშინება (0.687), თავის შეცოდება (0.643), პრივილეგირებულობის ჩვენება (0.765), მეტოქეობა (0.614), გაზვიადება (0.687)) აფასებს. ეს ქვესკალები ორ ფართო კატეგორიას ქმნიან: თვითპრეზენტაციის თავდაცვითი ($\alpha=.88$) და ასერტიული ($\alpha=.89$) ტაქტიკა.

ფეისბუქის მომხმარებლის მოტივების შესაფასებლად ფეისბუქის გამოყენების მოტივების სკალა (Sheldon, 2008) გამოვიყენეთ. ეს არის 26 დებულებისგან შემდგარი თვითანგარიშის კითხვარი, რომლის თითოეული დებულება ლიკერტის ტიპის 5-ქულიან სკალაზე ფასდება (1 = სრულიად არ ვეთანხმები და 5 = სრულიად ვეთანხმები). სკალაზე 6 ფაქტორი იზომება: ურთიერთობების შენარჩუნება ($\alpha=.75$), კომპანიონობა

($\alpha=.81$), გართობა ($\alpha=.75$), დროის გაყვანა ($\alpha=.67$), ვირტუალური თემი ($\alpha=.79$) და „მარტივი ტიპობა“ ($\alpha=.81$).

ბნელი ტრიადა. ბნელი ტრიადის ნიშნების გასაზომად „ბნელი ტრიადის ბინძური თორმეტის“ (Jonason & Webster, 2010) სკალა გამოვიყენეთ, რომელიც 12 დებულებისგან შედგება და თითოეული დებულება ლიკერტის ტიპის 7-ქულიან სკალაზე ფასდება (1 = სრულიად არ ვეთანხმები, 7 = სრულიად ვეთანხმები) და ბნელი ტრიადის სამივე პიროვნულ ნიშანს – მაკიაველიანიზმს ($\alpha=.61$), ფსიქოპათიასა ($\alpha=.55$) და ნარცისიზმს ($\alpha=.60$) – ზომავს. ასევე, იძლევა ბნელი ტრიადის ჯამურ მაჩვენებელს ($\alpha=.81$).

ექვსფაქტორიანი მოდელი. პიროვნული ნიშნების შესაფასებლად HEXACO-PI-R-ის (Lee, & Ashton, 2018) ქართული ვერსია (Martskvishvili et al., 2022) გამოვიყენეთ. ეს 100 დებულებისგან შემდგარი თვითანგარიშის კითხვარია, რომლის დებულებები 5-ქულიან ლიკერტის ტიპის სკალაზე (1 = სრულიად არ ვეთანხმები და 5 – სრულიად ვეთანხმები) ფასდება და ექვს განზომილებას ზომავს. ეს განზომილებებია: პატიოსნება-თავმდაბლობა ($\alpha=.76$), ემოციურობა ($\alpha=.76$), ექსტრავერსია ($\alpha=.79$), კეთილგანწყობა ($\alpha=.73$), პატიოსნება ($\alpha=.75$) და გამოცდილებისადმი ღიაობა ($\alpha=.68$). თითოეული განზომილება ოთხი მახასიათებლის მეშვეობით იზომება და თითოეული მახასიათებელი ოთხ დებულებას აერთიანებს. ამ 24 მახასიათებლის გარდა, ინსტრუმენტი მოიცავს ალტრუიზმის ინტერსტიციულ ასპექტს, რომელიც, ასევე, ოთხი დებულებით იზომება.

ანალიზის გეგმა

ფეისბუქზე თვითპრეზენტაციაზე მოქმედი ფაქტორების საკვლევად ჯერ საკვლევ ცვლადებს შორის კორელაციები (პირსონის კორელაციის კოეფიციენტი) გავანალიზეთ, შემდეგ მრავლობითი რეგრესიული ანალიზის მეშვეობით, ვნახეთ, წინასწარმეტყველებდა თუ არა პიროვნება, ბაზისური პიროვნული ნიშნებისა და ბნელი ტრიადის სახით, თვითპრეზენტაციის ტაქტიკებს. პიროვნული ნიშნებისა და თვითპრეზენტაციის ტაქტიკების ურთიერთმიმართებაზე მოტივაციის ეფექტის სანახავად მედიაციური ანალიზი (Conditional Process Modeling by Hayes, 2018; მოდელი 4) გამოვიყენეთ.

შედეგები

კორელაციური ანალიზის შედეგები (ცხრილი N1) გვიჩვენებს, რომ ბაზისური პიროვნული ნიშნები თვითპრეზენტაციის ასერტიულ ტაქტიკებსაც უკავშირდება და თავდაცვითსაც. უფრო კონკრეტულად, პატიოსნება-თავმდაბლობა უარყოფითად კორელირებს თვითპრეზენტაციის ასერტიულ ტაქტიკებთან (-.25), ხოლო ექსტრავერსია – დადებითად (.25). ემოციურობა დადებითად უკავშირდება თავდაცვით ტაქტიკებს (.15). ბნელი ტრიადის სამივე ნიშანი დადებით კავშირშია თვითპრეზენტაციის ასერტიულ ტაქტიკებთან. ყველაზე მჭიდრო კავშირი ნარცისიზმთან (.31) დაფიქსირდა, ყველაზე სუსტი კი – მაკიაველიანიზმთან (.28).

კორელაციური ანალიზი იმასაც აჩვენებს, რომ პიროვნული ნიშნები ფეისბუქის გამოყენების მოტივებთანაც ასოცირდება. უფრო კონკრეტულად, პატიოსნება-თავმდაბლობა უარყოფითად კორელირებს ფეისბუქის გამოყენების თითქმის ყველა მოტივთან: დროის გაყვანა (-.16); ვირტუალური თემი (-.19); გართობა (-.16) და „მარტივი ტიპობა“ (-.20). ემოციურობა დადებითად უკავშირდება მოტივთა უმრავლესობას,

რომელთაგან ყველაზე მჭიდრო კავშირი ურთიერთობების შენარჩუნებასთან (.22) და გართობასთან (.28) აღინიშნება. პატიოსნება უარყოფითად კორელირებს დროის გაყვანასა (-.14) და კომპანიონობასთან (1.15). რაც შეეხება ბნელი ტრიადის ნიშნების მიმართებას ფეისბუქის გამოყენების მოტივებთან, ნარცისიზმი დადებითად უკავშირდება „მაგარი ტიპობისა“ (.17) და ვირტუალური თემის (.15) მოტივებს.

კორელაციური ანალიზი იმაზეც მიუთითებს, რომ ფეისბუქის გამოყენების მოტივები ფეისბუქზე თვითპრეზენტაციის ტაქტიკებსაც უკავშირდება. ყველაზე მჭიდრო კორელაცია თვითპრეზენტაციის ასერტიულ ტაქტიკებსა და ვირტუალური თემის შენარჩუნების მოტივს (.46) შორის დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე სუსტი (.15) – ასერტიულ თვითპრეზენტაციასა და ფეისბუქზე დროის გაყვანის მოტივს შორის.

წრფივი მრავლობითი რეგრესიის გამოყენებით ვნახეთ, რამდენად წინასწარმეტყველებდა პიროვნული ნიშნები და ფეისბუქის გამოყენების მოტივები სოციალურ მედიაში თვითპრეზენტაციის ტაქტიკებს (იხ. ცხრილი N2). თავდაპირველად შევამოწმეთ მოდელი პიროვნული ფაქტორებისა და თვითპრეზენტაციის ასერტიული ტაქტიკების კომბინაციისთვის, რომელმაც ვარიაციის 12% ახსნა და მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებდა თვითპრეზენტაციის ასერტიულ ტაქტიკებს ($R^2=.12$, $adjusted\ R^2=.09$), $F(6, 204)=4.63$, $p<.000$), როდესაც თავმდაბლობა ($\beta = -.23$, $t=-3.30$, $p<.01$) მნიშვნელოვან უარყოფით პრედიქტორს წარმოადგენდა, ექსტრავერსია ($\beta =.22$, $t=3.20$, $p<.01$) კი – მნიშვნელოვან დადებით პრედიქტორს. რაც შეეხება თვითპრეზენტაციის თავდაცვით ტაქტიკებს, პიროვნების ექვსი განზომილებისთვის აგებული მოდელი ვარიაციის 6%-ს ხსნიდა და მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებდა თვითპრეზენტაციის თავდაცვით ტაქტიკებს ($R^2=.06$, $adjusted\ R^2=.03$), $F(6, 206)= 2.10$, $p<.05$), როდესაც ემოციურობა ($\beta =.16$, $t=2.41$, $p<.05$) ერთადერთ მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენდა თვითპრეზენტაციის თავდაცვითი ტაქტიკებისთვის.

ბნელი ტრიადის ნიშნების მოდელი ვარიაციის 12%-ს ხსნიდა და მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებდა თვითპრეზენტაციის ასერტიულ სტრატეგიებს ($R^2=.12$, $adjusted\ R^2=.1$), $F(3, 203)=9.03$, $p<.001$), როდესაც ნარცისიზმი ($\beta =.18$, $t=2.08$, $p<.05$) თვითპრეზენტაციის ასერტიული ტაქტიკების მნიშვნელოვან პრედიქტორს წარმოადგენდა. რაც შეეხება თვითპრეზენტაციის თავდაცვით ტაქტიკებს, ბნელი ტრიადის ნიშნების მოდელი არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი თვითპრეზენტაციის თავდაცვითი ტაქტიკების ვარიაციის ახსნისას.

¹ როცა ვსაუბრობთ „დინამიკურ“ და „სტატიკურ“ ტიპზე, ვგულისხმობთ „დინამიკური განწყობის ფორმის მქონე ინდივიდს“ და „სტატიკური განწყობის ფორმის მქონე ინდივიდს“, ისევე, როგორც უზნაძე იყენებდა თავის შრომაში, ხან ვრცელ განმარტებას „დინამიკური განწყობის ტიპი“, ხან უბრალოდ „დინამიკური ტიპი“ და გულისხმობდა ამაში „დინამიკური განწყობის ტიპის მქონე“ ადამიანს (უზნაძე, 2009, გვ.188-190).

უზნადის ფიქსირებული განწყობის მეთოდის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები...

ფსიქოლოგიური ასპექტების მნიშვნელობაზე მიუთითებს: „დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვეულებრივ, თითოეულ ნორმალურ სუბიექტს ფიქსირებული განწყობის თავისი გარკვეული ტიპი აქვს, რომელიც უცვლელად რჩება ყველა სენსორული არისათვის“ (უზნაძე, 2009, გვ. 185).

ფიქსირებული განწყობის აღმოცენებისა და ჩაქრობის თავისებურებების კავშირი პიროვნულ მახასიათებლებთან ფართოდ არის ნაკვლევია ნორაკიძის შრომებში (1966; 1975). პიროვნების საკვლევად მან გამოიყენა სხვადასხვა მეთოდი: კლინიკურ-ბიოგრაფიული საუბრის მეთოდი, აიზენკის პიროვნების საკვლევი კითხვარი, პროექციული ტესტები (რორშახი და თემატური აპერცეფციის ტესტი). მიღებულ შედეგებში დადასტურდა, რომ სანგვინიკური, ქოლერიკული და ფლეგმატური ტიპის ტემპერამენტის ინდივიდები უფრო ხშირად ხასიათდებიან პლასტიურ-დინამიკური განწყობით, ხოლო მელანქოლიური ტემპერამენტის ინდივიდები – ტლანქი-სტატიკური განწყობით; განწყობის დინამიკური ტიპი უფრო ხშირად ექსტრავერტულობით ხასიათდება, ხოლო სტატიკური ტიპი – ინტროვერტულობით; ასევე დადასტურდა, რომ სტატიკური განწყობის ტიპებს შფოთვის უფრო მაღალი ქულები აქვს ტეილორის შფოთვის საზომ სკალაზე, ვიდრე დინამიკური განწყობის პირებს. დასკვნის სახით, ნორაკიძე (1966) სტატიკური ტიპის ადამიანს ახასიათებს, როგორც პიროვნებას, რომელიც თავს ვერ აღწევს ფიქსირებულ განწყობას, ვერ ადაპტირდა ახალ რეალობასთან, რიგიდულია, ახასიათებს შფოთვის მაღალი დონე, მიდრეკილია მელანქოლიისაკენ, ის ინტროსპექციულია, უფრო ხშირად ინტროვერტია და ხასიათდება შინაგანი კონფლიქტებით. ხოლო დინამიკური განწყობის ტიპი მარტივად ადაპტირდება არსებულ რეალობასთან, ფლექსიბურია, უფრო ჰარმონიულია, ახასიათებს შფოთვის დაბალი დონე, განონასნორებულია, მიმართულია გარე რეალობის ადეკვატურ აღქმაზე და უფრო ხშირად ექსტრავერტია.

ფიქსირებული განწყობის მეთოდის დიაგნოსტიკური შესაძლებლობანი გამოყენებული იყო ფსიქოპათოლოგიის სფეროში. ზოგადად, უზნაძე ფსიქოპათოლოგიას უფრო ფართო კონტექსტში განიხილავს „ავადმყოფობა არა რომელიმე ცალკე ფუნქციას აზიანებს, არამედ უფრო თვითონ პიროვნებას, რომელიც ამ ფუნქციას იყენებს“ (უზნაძე, 2009). კვლევებით დადასტურდა, რომ ფსიქოპათოლოგიის სხვადასხვა შემთხვევებში ფიქსირებული განწყობის თავისებურებანი განსხვავდება ნორმისაგან (ბჟალავა, 1958). ფიქსირებული განწყობის თავისებურებების კვლევისას შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებში გამოვლინდა მისი ლოკალური ხასიათი, მათ განწყობას ახასიათებს მაღალი სიტლანქე, სიმტკიცე და სტატიკურობა; თუმცა მთელი რიგი სხვაობები დადასტურდა განსხვავებული ტიპის შიზოფრენიისას; ეპილეფსიით დაავადებულთათვის მეტად დამახასიათებელია განწყობის ალგზნებადობის მაღალი დონე, ტლანქი-სტატიკური განწყობა და სტაბილური განწყობა; ბიპოლარული აფექტური აშლილობის მანიაკალური ფაზის დროს კი – სტატიკურ-პლასტიური, ამასთანავე ვარიაბელური; ასეთი ადამიანი ხშირად იცვლის განწყობის ჩაქრობის ტიპს, ნაკლებად ახასიათებს თანმიმდევრულობა (ბჟალავა, 1958).

ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის ტიპების პიროვნული კორელატების ძიება საინტერესო აღმოჩნდა არამარტო ქართველ მეცნიერთათვის. ასე მაგალითად, კანა-

დელი მეცნიერი, ჯ. ჰრიციუკი (1971) თავის ნაშრომში მიმოიხილავს განწყობის ტიპების კავშირს აიზენკის პიროვნულ ნიშნებთან (ექსტრავერსია, ინტროვერსია, შესაბამისად ისტერია და დისთიმია), აანალიზებს აიზენკის და ნორაკიდის მიერ პიროვნების შესწავლის განსხვავებულ თეორიულ და ექსპერიმენტულ მეთოდებს და დასკვნითი სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით ადასტურებს მთელ რიგ კანონზომიერებებს (რაც ქართველ მეცნიერთა კვლევებში არ ყოფილა გამოყენებული): ისტერიის მაღალი მაჩვენებლების მქონე პირები ხასიათდებიან განწყობის უფრო დაბალი ალგზნებადობით და მაღალი ინტერმოდალური ირადიაციის დონით, ვიდრე დისთიმის მაღალი მაჩვენებლების მქონე პირები, არ დადასტურდა კავშირი ისტერიასა და განწყობის სიმტკიცეს შორის; ასევე არ დადასტურდა სხვაობა განწყობის ჩაქრობის მახასიათებლებს შორის ნევროტიზმის დონის მიხედვით და არც ექსტრავერსია-ინტროვერსიის მახასიათებლების მიხედვით (Hritzuk, 1971). ეს შედეგები, გარკვეულწილად, წინააღმდეგობაში მოდის აიზენკის შედეგებთან, რომელიც იკვლევდა კინესთეტიკური ფიგურისშემდგომი ეფექტების (ფიქსირებული განწყობის მსგავსი ფენომენი) ცალკეულ პარამეტრებს შორის სხვაობას, კერძოდ ალგზნებადობის, ჩაქრობის ხანგრძლივობის, ილუზიის სიმტკიცის მიხედვით სხვაობებს ისტერიისა და დისთიმის მაღალი ქულების მქონე კვლევის მონაწილეებში. კვლევის შედეგების სტატისტიკურმა ანალიზმა (t test) დაადასტურა, რომ ისტერიის მაღალი ქულების მქონე მონაწილეებს (ექსტრავერსიის პროტოტიპი) ახასიათებთ ფიგურისშემდგომი ეფექტის აღმოცენების უფრო მაღალი ალგზნებადობა, ილუზიის მეტი სიდიდე და ჩაქრობის ნელი ტემპი, ვიდრე დისთიმის მაღალი ქულების მქონე ინდივიდებს (ინტროვერსიის პროტოტიპი) (Eysenck, 1955). მოგვიანებით კანადელმა მეცნიერმა ჰ. ჯენზენმა¹ (Janzen, 1972) იკვლია განწყობის ალგზნებადობისა და ჩაქრობის პროცესის მახასიათებლების კავშირი პიროვნულ ნიშნებთან, რომლის საზომად გამოიყენა აიზენკის პიროვნების საკვლევი კითხვარი და MMPI; ფაქტორული ანალიზის (კერძოდ, ვარიანტის როტაციის მეთოდი) შედეგად გამოიყო 8 ფაქტორი, რომელიც ხსნიდა მთლიანი ვარიაციის 73.44%-ს. განწყობის ალგზნებადობისა და ჩაქრობის პროცესის მახასიათებლები წარმოდგენილი იყო უმეტეს ფაქტორებში, თუმცა მცირე ნონით; ავტორის ინტერპრეტაციით, „განწყობა ჩართულია იმ ნიშნებში, რომელსაც, ვახასიათებთ, როგორც პიროვნულ ნიშნებს“, თუმცა ეს არაა საკმარისი იმ დასკვნის გამოსატანად, რომ განწყობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ქცევის სტრუქტურის განსაზღვრაში. აღსანიშნავია, რომ ორივე კანადელმა ავტორმა განწყობის ჩაქრობის პროცესის მახასიათებლად გამოიყენა მხოლოდ ჩაქრობისათვის საჭირო ცდების რაოდენობა და არა განწყობის სტატიკურობა-დინამიკურობის ცნებები, რაც გასათვალისწინებელია მათ მიერ მიღებული შედეგების ქართველ მეცნიერთა კვლევების შედეგებთან შედარებისას.

სხვადასხვა ავტორის მიერ ფიქსირებული განწყობის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური საკითხის კვლევისას მიღებულმა განსხვავებულმა შედეგებმა კიდევ მეტი ინტერესი წარმოშვა აღნიშნული თემის მიმართ, რისთვისაც გადაწყვიტეთ თანამედროვე კვლევის უფრო ზუსტი მეთოდებით (ექსპერიმენტების ავტომატიზაციით)

¹ ასევე, შეიძლება რიგ წყაროებში გვხვდება, როგორც იანსენი.

უზნადის ფიქსირებული განწყობის მეთოდის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები...

გვეყვლია ფიქსირებული განწყობის ტიპებისა და პიროვნული ნიშნების მიმართების საკითხი. ზემოხსენებულ კვლევებში შესწავლილი საკითხებიდან ყველაზე თვალსაჩინო მიმართებები გამოიკვეთა ფიქსირებული განწყობის ტიპებსა და პიროვნების აფექტურ მახასიათებლებს შორის, ასევე, ექსტრავერსია-ინტროვერსიასა და რიგიდულობა-ფლექსიბურობას შორის, ამიტომ გადავწყვიტეთ ემპირიულად გადაგვემონებინა და გვეყვლია არსებობს თუ არა განსხვავება განწყობის ჩაქრობის ტიპებს შორის დიდი ხუთეულის მოდელის პიროვნული ნიშნების, კერძოდ ნევროტიზმის, ექსტრავერსიის და გამოცდილებისადმი ღიაობის მიხედვით; ასევე, პიროვნული შფოთვის მიხედვით. ცნობილია, რომ დიდი ხუთეულის ნიშნები ბაზისური ტენდენციებია, რომელიც დროში მდგრადობით ხასიათდება და, ფაქტობრივად, არ იცვლება ცხოვრების მანძილზე (Costa & McCrae, 1992). ნევროტიზმის მაღალი ქულები უკავშირდება მაღალ შფოთვას, აგრესიულობას, დეპრესიას, იმპულსურობას, ემოციურ არამდგრადობას და, შესაბამისად, გამოიხატება სტრესისადმი ნაკლები გამძლეობით, სუსტი ადაპტაციური მექანიზმით, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სტატიკური განწყობის მქონე ინდივიდებისათვის უფრო მაღალი ნევროტიზმი იქნება დამახასიათებელი; ექსტრავერსიის მაღალი ქულები კი უკავშირდება სოციაბელურობას, აქტიურობას, გართობისა და მხიარულების სიყვარულს, რაც ზემოაღნიშნულ კვლევებში განწყობის დინამიკურ-პლასტიური ტიპებისათვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი; გამოცდილებისადმი ღიაობის სკალაზე მაღალი ქულების მქონე პირებს ახასიათებთ არატრადიციულობა, ცვლილებისადმი, სიახლეებისადმი მეტი ღიაობა, ფლექსიბურობა, რაც უკავშირდება ფიქსირებული განწყობის ცვლილების სიმარტივეს, შესაბამისად, მეტად უნდა იყოს დამახასიათებელი განწყობის დინამიკური ტიპებისათვის, ვიდრე სტატიკური ტიპებისათვის. შევაჯამოთ ჩვენი კვლევის ჰიპოთეზები:

- H1: ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სტატიკური ტიპისათვის დამახასიათებელია ნევროტიზმის უფრო მაღალი დონე, ვიდრე დინამიკური ტიპისათვის.
- H2: ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის დინამიკური ტიპისათვის დამახასიათებელია უფრო მაღალი ქულები ექსტრავერსიის სკალაზე, ვიდრე სტატიკური ტიპისათვის.
- H3: ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის დინამიკური ტიპისათვის დამახასიათებელია უფრო მაღალი ქულები გამოცდილებისადმი ღიაობის სკალაზე, ვიდრე სტატიკური ტიპისათვის.
- H4: ფიქსირებული განწყობის პლასტიური ტიპისათვის დამახასიათებელია უფრო მაღალი ქულები ექსტრავერსიის სკალაზე, ვიდრე განწყობის ტლანქი ტიპისათვის.
- H5: ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სტატიკური ტიპისათვის დამახასიათებელია პიროვნული შფოთვის უფრო მაღალი დონე, ვიდრე დინამიკური ტიპისათვის.

მეთოდი:

შერჩევა

ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტებში მონაწილეობდა 187 პირი, თუმცა, საბოლოოდ, კვლევის შედეგების ანალიზისათვის გამოყენებული იყო მხოლოდ 171 მონაწილის შედეგები (იმათი შედეგები, ვინც ექსპერიმენტის მსვლელობაში უპასუხოდ დატოვა ექსპოზიციების დიდი ნაწილი, ან არ შეავსო კვლევის მეორე ინსტრუმენტი,

არ იყო გათვალისწინებული). კვლევის მონაწილეები შეირჩნენ იმ პრინციპით, რომ დამოუკიდებლად შეეძლოთ კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობა. მონაწილეთა ასაკი ვარირებდა 18-დან 50 წლამდე; ($M=24.56$, $SD=5.8$); მდებარეობითი სქესის მონაწილეები შეადგენდნენ შერჩევის 69%-ს, ხოლო მამრობითი სქესის მონაწილეები – 31%-ს. კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. კვლევის ექსპერიმენტული ნაწილი ტარდებოდა ექსპერიმენტატორის მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო მეორე ნაწილი (კითხვარების შევსება) – დამოუკიდებლად.

აპარატურა:

ფიქსირებული განწყობის საკვლევად გამოვიყენეთ ვიზუალურ მოდალობაში უზნადის ფიქსირებული განწყობის შემუშავების კლასიკური მეთოდიკა (უზნადე, 2009), იმ განსხვავებით, რომ ჩვენი ექსპერიმენტები ტარდებოდა კომპიუტერის გამოყენებით და იყენებდა სპეციალურად შექმნილ პროგრამულ უზრუნველყოფას. პროგრამა შესაძლებლობას გვაძლევდა შეგვეცვალა განწყობის ექსპერიმენტებისათვის მნიშვნელოვანი ყველა ცვლადი: ფონისა და ფიგურის ფერი, ფორმა, მათი ზომა, მდებარეობა, თვალის ფიქსაციის წერტილი, ექსპოზიციების და, ასევე, მათ შორის დროის შუალედის ხანგრძლივობა, სერიებში ცდების რაოდენობა და სხვა. პასუხების ფიქსაცია ხდებოდა კლავიატურაზე თითის დაჭერით წინასწარ მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად; პასუხები ფიქსირდებოდა პროგრამაში ცხრილის სახით, რომელიც ჩამოიტვირთებოდა Ms Excel დოკუმენტის ფორმატში.

პროცედურა:

კვლევის მონაწილეებს, პირველ რიგში, უტარდებოდათ ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტი, ხოლო შემდეგ ავსებდნენ დიდი ხუთეულის საკვლევ და სპილბერგერის პიროვნული შფოთვის საზომ კითხვარებს.

ექსპერიმენტის პროცესში კვლევის მონაწილე იჯდა კომპიუტერის ეკრანთან, სადაც ჩართული იყო განწყობის ექსპერიმენტების საპრეზენტაციო პროგრამული უზრუნველყოფა (web-based აპლიკაცია, დაწერილი JavaScript-ში). პირველ რიგში, ის ეცნობოდა ეკრანზე შესაბამის ინსტრუქციას:

„ეკრანზე გამოჩნდება წრეწირები. თქვენი დავალებაა შეადაროთ მათი ზომები ერთმანეთს და უპასუხოთ, თუ რომელია დიდი შესაბამის ლილაკზე თითის დაჭერით: თუ მარცხენაა დიდი, აჭერთ კლავიატურაზე “ 1 “-ს; თუ მარჯვენაა დიდი, აჭერთ კლავიატურაზე “ 3 “-ს; თუ ტოლია, აჭერთ კლავიატურაზე “ 2 “-ს.

წრეწირებს შორის განსხვავება შეიძლება იყოს მცირე, თქვენი ამოცანაა დააფიქსიროთ მცირე სხვაობაც კი. მთელი ექსპერიმენტის განმავლობაში მზერა ფიქსირებული უნდა გქონდეთ ნითელ წერტილზე, რომელიც ეკრანის შუაშია მოცემული. ექსპერიმენტში ობიექტების ჩვენება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და თქვენ უნდა მოასწროთ ლილაკზე თითის დაჭერა. გთხოვთ, წინასწარ მოემზადოთ და იპოვოთ კლავიატურაზე შესაბამისი ლილაკები.

თუკი მზად ხართ, შეავსეთ შესაბამისი ველები და დაიწყეთ ექსპერიმენტი.“

უზნადის ფიქსირებული განწყობის მეთოდის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები...

ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ კვლევის მონაწილე ავსებდა პერსონალური ინფორმაციის გრაფებს, სადაც კვლევის მონაწილეს უნდა მიეთითებინა შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი (ან რაიმე პირობითი აღნიშვნა, თუკი სურდა კონფიდენციალობის დაცვა, რომელსაც მიუთითებდა კვლევის მეორე ნაწილში კითხვარის შევსებისას), ასევე ასაკი და სქესი.

ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტი ტარდებოდა სამ სერიად: საკონტროლო სერია, რომელშიც ხდებოდა ტოლი ობიექტების სიმულტანური პრეზენტაცია 5 ჯერ; საგანწყობო სერია, რომელშიც ხდებოდა დიდ-პატარა ობიექტების პრეზენტაცია 15-ჯერ და კრიტიკული სერია, რომელშიც ხდებოდა საკონტროლო ცდაში ნაჩვენები ტოლი ობიექტების პრეზენტაცია 40-ჯერ. საკონტროლო ცდის მიზანი იყო შემოწმებულიყო ცდის მონაწილის ე.წ. ბუნებრივი ასიმეტრიის საკითხი, ხომ არა აქვს ტოლი ობიექტების შეფასებისას იმთავითვე მათი არატოლად შეფასების ტენდენცია (უზნაძე, 2009). ამ პრობლემის დასაძლევად, მარჯვნივ გადაფასების შემთხვევაში, კვლევის მონაწილეებს საგანწყობო ცდაში მარჯვენა მხარეს მიენოდებოდა დიდი წრე, ხოლო მარცხნივ გადაფასების შემთხვევაში – მარცხენა მხარეს.

განწყობის ექსპერიმენტში გამოყენებული იყო ყვითელი ფერის წრენირები შავ ფონზე, რომელთა დიამეტრი საკონტროლო და კრიტიკულ ცდაში იყო 5 სმ; ხოლო საგანწყობო ცდებში დიდი წრენირი იყო 8 სმ, პატარა წრენირი – 5 სმ; წრენირის სისქე – 4 px. ეკრანის შუაში წითელი ფერის, 5 მმ დიამეტრის „თვალის ფიქსაციის წერტილი“ იყო მოთავსებული; ექსპოზიციების ხანგრძლივობა და, ასევე, ექსპოზიციებს შორის დროის შუალედი ერთნაირი იყო სამივე სერიაში (1000 და 1200 მმ შესაბამისად); თითოეული ექსპოზიციის შემდეგ ცდის მონაწილე აფასებდა ობიექტების ზომებს და ხელს აჭერდა ლილაკებს ინსტრუქციის შესაბამისად. მთელი ექსპერიმენტი გრძელდებოდა 3 წთ-ის განმავლობაში.

ექსპერიმენტი ტარდებოდა ონლაინ, კვლევის მონაწილე და ექსპერიმენტატორი ჩართულები იყვნენ დისტანციური ვიდეო საკომუნიკაციო (Zoom) პლატფორმის საშუალებით¹, რათა ექსპერიმენტატორს ეკონტროლებინა კვლევის მონაწილის გარემო და მისი ჩართულობა ექსპერიმენტში. კომპიუტერის ეკრანი განლაგებული იყო ისეთნაირად, რომ განათებას ხელი არ შეეშალა ეკრანზე გამოსახულების აღსაქმელად.

ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტებში განწყობის სტატიკურობისა და დინამიკურობის განსაზღვრა ხდება ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის დინამიკის მიხედვით: დინამიკურია განწყობა, რომელიც გარკვეული რაოდენობის ილუზიების შემდეგ ჩაქრება, ანუ სუბიექტი უბრუნდება ადეკვატურ აღქმას. თუმცა მანამდე შეიძლება იყოს ფაზა, სადაც ილუზორული აღქმა და სწორი პასუხები ერთმანეთს ენაცვლებიან. განწყობის ჩაქრობად მიიჩნევა ტოლი ობიექტების ზედიზედ 5 ადეკვატური აღქმა; ხოლო სტატიკურად² ვთვლიდით განწყობას, თუ სუბიექტი ტოლი წრენირების 40 ექსპოზიციის შემდეგაც ვერ აღწევდა ადეკვატურ აღქმას. პლასტიურად მივიჩნევდით

¹ ვინაიდან ექსპერიმენტების დიდი ნაწილი ტარდებოდა პანდემიის პერიოდში, როცა მხოლოდ დისტანციური კომუნიკაცია იყო შესაძლებელი.

² ფიქსირებული განწყობის ვარიანტულ ტიპს მოცემული ექსპერიმენტის ფარგლებში არ ვიზილავდით, კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ კონსტანტური განწყობის ტიპები.

განწყობის ტიპს, როცა კონტრასტულ ილუზიებთან ერთად ასიმულაციური ილუზიებიც გამოერეოდა, ან კონტრასტული და ადეკვატური პასუხები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს; ხოლო განწყობას ტლანქად მივიჩნევდით, როცა კონტრასტული ილუზიების ფაზას ცვლიდა ადეკვატური აღქმა და სუბიექტი აღარ უბრუნდებოდა ამის შემდეგ ილუზორულ აღქმას. ნულოვანი განწყობის ტიპებს კი არ უფიქსირდებოდათ განწყობის ილუზიის არცერთი შემთხვევა. განწყობის სიმტკიცე გაიზომებოდა კონტრასტული ილუზიების რაოდენობით.

საგანწყობო ცდაში მონაწილეობის შემდეგ კვლევის მონაწილეს ეგზავნებოდა დიდი ხუთეულის პიროვნული ნიშნების საზომი კითხვარი NEO-FFI ლინკის საშუალებით (Google form).

კვლევის ინსტრუმენტები

პიროვნული ნიშნების საკვლევად გამოვიყენეთ დიდი ხუთეულის მოდელის საკვლევი, საქართველოში ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტი, NEO-FFI (Costa & McCrae, 1992), კერძოდ მისი 60-დებულებიანი შემოკლებული ვერსია. იგი ზომავს ნევროტიზმს, ექსტრავერსიას, გამოცდილებისადმი ღიაობას, კეთილგანწყობასა (თანხმობისადმი მზაობის) და კეთილსინდისიერებას. დებულებები იზომება ლაიკარტის ტიპის 5-ქულიან სკალაზე (სადაც 1 ნიშნავს სრულიად არ ვეთანხმები, ხოლო 5 – სრულიად ვეთანხმები). თითოეული სკალა შედგება 12 დებულებისაგან. ვინაიდან ჩვენი ინტერესის საგანი სამი პიროვნული ნიშანი იყო – ნევროტიზმი, ექსტრავერსია და გამოცდილებისადმი ღიაობა, ჩვენ გამოვიყენეთ 36 დებულება. სკალების სანდოობა, გაზომილი კრონბახის ალფა კოეფიციენტით, შესაბამისად შეადგენდა – 0.8, 0.76 და 0.5-ს. საყურადღებოა ამ კითხვარის ქართული ვერსიის გამოცდილებისადმი ღიაობის დაბალი სანდოობა, რაც სხვა კვლევებშიც ყოფილა აღნიშნული (ქობულაძე, 2017). დებულებათა ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ სკალის ორ დებულებას – პირველს და მეათეს, აქვს დაბალი დისკრიმინაციის ინდექსი („ვცდილობ ფიქრებს რეალისტური მიმართულება მივცე და ვერიდო „ოცნებებში გადავარდნას“, დისკრიმინაციის ინდექსი – 0.085-ია და „ძალიან მიყვარს პრობლემების და თავსატეხების გადაწყვეტა“, დისკრიმინაციის ინდექსი – 0.005-ია). ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ 0.65-ზე დაბალი სანდოობის მქონე სკალების გამოყენება არ არის მისაღები (George & Mallery, 2003), თუმცა ავტორთა ნაწილი, 0.5-0.7 სანდოობას განიხილავს, როგორც მისაღებს, შესაბამისად, გადაწყვეტით დაგვეტოვებინა ეს სკალა ჩვენი მონაცემთა ანალიზისათვის (Hinton, McMurray, & Brownlow, 2014).

შფოთვის გასაზომად გამოვიყენეთ სპილბერგერის პიროვნული შფოთვის საზომი კითხვარის ქართული ვერსია (State-Trait Anxiety Inventory (STAI), რომლის ვალიდაცია ქართულ პოპულაციაზე 2016 წელს ჯავახიშვილის და მისი კოლეგების მიერ (2016) ჩატარდა. კითხვარი შედგება 17 დებულებისაგან, რომლებიც სიხშირის სკალაზე იზომება, სადაც 1 არის ძალიან იშვიათად, ხოლო 4 – თითქმის ყოველთვის. ჩვენი მონაცემების მიხედვით შეფასებული სანდოობა (კრონბახის ალფა) არის მაღალი – 0.9. ჩვენ მიერ მოცემული კითხვარით გაზომილი შფოთვის მაჩვენებლებსა და დიდი ხუთეულის საზომი ინსტრუმენტით (NEO-FFI) გაზომილი ნევროტიზმის მაჩვენებლებს შორის კო-

უზნადის ფიქსირებული განწყობის მეთოდის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები...

რელაცია მაღალია, $r(169)=.7$, $p<.000$, რაც ასაბუთებს ინსტრუმენტების მაღალ კონვერგენტულ ვალიდობას.

შედეგები:

მოცემულ შერჩევაში კვლევის მონაწილეთა განწყობის ჩაქრობის ტიპების სიხშირეები შემდეგნაირად გადანაწილდა: მონაწილეთა 47%-თან დადასტურდა სტატიკური განწყობა; 42%-თან – დინამიკური განწყობა, ხოლო 12%-ს განწყობა არ შეუმუშავდა; მონაწილეთა 54%-თან დადასტურდა პლასტიკური განწყობა, ხოლო 35%-თან – ტლანქი განწყობა.

პირველი ჰიპოთეზის შესამოწმებლად ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სტატიკური და დინამიკური ტიპის ნევროტიზმის ქულები შევადარეთ ერთმანეთს. პირველი ჰიპოთეზა დადასტურდა: სტატიკური განწყობის ნევროტიზმის საშუალო ქულა ($M=38.63$, $SD=8.34$) აღემატება დინამიკური განწყობის საშუალო ქულას ($M=32.6$, $SD=6.99$), $t(149)=4.82$, $p<.001$.

მეორე ჰიპოთეზის შესამოწმებლად ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სტატიკური და დინამიკური ტიპის ექსტრავერსიის ქულები შევადარეთ ერთმანეთს. მეორე ჰიპოთეზა არ დადასტურდა: დინამიკური ($M=38.3$, $SD=6.44$) და სტატიკური განწყობის ($M=39$, $SD=7.56$) ტიპების ექსტრავერსიის საშუალო ქულებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ აღმოჩნდა, $t(149)=0.6$, $p=.55$.

მესამე ჰიპოთეზის შესამოწმებლად ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სტატიკური და დინამიკური ტიპის გამოცდილებისადმი ღიაობის ქულები შევადარეთ ერთმანეთს. მესამე ჰიპოთეზა არ დადასტურდა: დინამიკური ($M=41.31$, $SD=5.37$) და სტატიკური განწყობის ($M=40.38$, $SD=5.27$) ტიპების გამოცდილებისადმი ღიაობის საშუალო ქულებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ აღმოჩნდა, $t(149)=-1.08$, $p=.28$.

მეოთხე ჰიპოთეზის შესამოწმებლად ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პლასტიკური და ტლანქი ტიპის ექსტრავერსიის საშუალო ქულები შევადარეთ ერთმანეთს. მეოთხე ჰიპოთეზა დადასტურდა: პლასტიკური განწყობის ექსტრავერსიის საშუალო ქულა ($M=39.6$, $SD=7.33$) აღემატება ტლანქი განწყობის ექსტრავერსიის ქულას ($M=37.3$, $SD=6.4$), $t(149)=2.1$, $p<.03$.

მეხუთე ჰიპოთეზის შესამოწმებლად ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სტატიკური და დინამიკური ტიპის პიროვნული შფოთვის ქულები შევადარეთ ერთმანეთს. მეხუთე ჰიპოთეზა დადასტურდა: სტატიკური განწყობის პიროვნული შფოთვის საშუალო ქულა ($M=50.54$, $SD=11.37$) აღემატება დინამიკური განწყობის ტიპის შფოთვის საშუალო ქულას ($M=47.29$, $SD=8.62$), $t(145)=1.99$, $p<.05$.

განწყობის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ კვლევებში, კერძოდ ნორაკიდის შრომაში (1963), განწყობის სიმტკიცე ხშირად განხილულია, როგორც ცვლადი, რომელიც სხვა მახასიათებლებთან კომბინაციაში კავშირშია პიროვნულ ნიშნებთან. შესაბამისად, ჩვენც დავინტერესდით სიმტკიცისა და პიროვნული ნიშნების კავშირით. კორელაციური ანალიზის შედეგებმა გვიჩვენა, რომ განწყობის სიმტკიცესა და პიროვნულ ნიშნებს შორის სტატისტიკურად სანდო კავშირი არ არის. თუმცა საინტერესო მიმარ-

თებები აღმოჩნდა განწყობის სიმტკიცის მახასიათებლებსა და თავად განწყობის ტიპებს შორის, კერძოდ, სტატიკური განწყობის სიმტკიცის საშუალო ქულები ($M=14.13$, $SD=6.38$) მნიშვნელოვნად აღემატება დინამიკური განწყობის სიმტკიცის ქულებს ($M=8.66$, $SD=5.97$), $t(149)=5.41$, $p<.001$. ასევე დადასტურდა, რომ პლასტიკური განწყობის სიმტკიცის ქულები ($M=12.68$, $SD=6$) აღემატება ტლანქი განწყობის სიმტკიცის ქულებს ($M=9.8$, $SD=7.48$), $t(149)=2.49$, $p<.01$.

ჩვენ, ასევე, დავინტერესდით მიმართებით ფიქსირებული განწყობის ტიპების ორ განზომილებას შორის, კერძოდ: პლასტიკურობა-სიტლანქესა და დინამიკურობა-სტატიკურობას შორის. აღმოჩნდა, რომ სტატიკური განწყობის ტიპებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია განწყობის პლასტიკურობა, ვიდრე განწყობის დინამიკური ტიპის მონაწილეთათვის, $\chi^2(4, N=152)=218.15$, $p<.001$. ამ ეტაპზე ამ შედეგების ინტერპრეტაციის, მათი პიროვნულ ნიშნებთან მიმართების შესახებ მსჯელობის ემპირიული საფუძველი არ გვაქვს, თუმცა აღნიშნული შედეგები გვაფიქრებინებს, რომ მომავალში სასურველია ემპირიული კვლევა გაგრძელდეს განწყობის ტიპების კომბინაციის განხილვით (სტატიკურ-პლასტიკური განწყობის ტიპი, დინამიკურ-პლასტიკური განწყობის ტიპი და ა.შ.), რამაც შესაძლოა ახალი საინტერესო კანონზომიერებები დაადასტუროს, მით უფრო, რომ ნორაკიძის (1966) მიერ ჩატარებულ კვლევებში ნაცაღია სწორედ ასეთი კომბინირებული პროფილების აღწერა.

პიროვნული ნიშნებისა და განწყობის ჩაქრობის ტიპებს შორის კავშირის გასაზომად გამოვიყენეთ ლოჯისტიკური (ბინარული) რეგრესია (Pallant, 2016). ჩვენი დამოუკიდებელი ცვლადები იყო: ნევროტიზმი, ექსტრავერსია, გამოცდილებისადმი ღიაობა და პიროვნული შფოთვა, ხოლო დამოკიდებული ცვლადი – განწყობის ტიპი, კერძოდ სტატიკურობა-დინამიკურობა. სრული მოდელი სტატისტიკურად სანდოა $\chi^2(4, N=151)=26.76$, $p < 0.001$, რაც იმას ნიშნავს, რომ მოდელი განასხვავებს ინდივიდებს განსხვავებული განწყობის ტიპით. სრული მოდელი ხსნის საკვლევი ცვლადის ვარიაციის 16.2 %-ს (Cox და Snell R square) და 21.7% (Nagelkerke R squared) და შემთხვევათა 68.2 %-ის კორექტულ კლასიფიცირებას ახდენს. ცხრილი 1-დან ჩანს, რომ მხოლოდ ნევროტიზმს აქვს პრედიქტორული ღირებულება, $e^B = 1.147$, $B = .137$.

ცხრილი 1. ლოჯისტიკური რეგრესიის შედეგები: პიროვნული ნიშნებისა და განწყობის ტიპის კავშირი

ცვლადები	B	S.E.	Wald	df	Sig.	Exp(B)	C.I. for EXP(B)	
						95%	Lower	Upper
ნევროტიზმი	.137	.035	15.570	1	.000	1.147	1.072	1.228
გამოცდილებისადმი ღიაობა	-.004	.042	.009	1	.926	.996	.917	1.082
ექსტრავერსია	.045	.032	1.985	1	.159	1.046	.983	1.113
პიროვნული შფოთვა	-.025	.029	.738	1	.390	.976	.923	1.032
Constant	-5.170	2.439	4.495	1	.034	.006		

შედეგების განხილვა:

კვლევის შედეგებით დადასტურდა ფიქსირებული განწყობის ტიპებს შორის განსხვავებები რიგი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სხვაობა იყო მიღებული სტატისტიკური და დინამიკური განწყობის ტიპების ნევროტიზმის საშუალო ქულებს შორის, კერძოდ, სტატიკური განწყობის ტიპების ნევროტიზმის ქულა აღემატებოდა დინამიკური განწყობის ნევროტიზმის ქულას. ასევე, პიროვნული შფოთვის ქულა უფრო მაღალი იყო სტატიკური, ვიდრე დინამიკური განწყობის შემთხვევაში. ეს შედეგები ეხმიანება ქართველი მკვლევრების, კერძოდ ნორაკიდის (1966) მიერ მიღებულ ადრინდელ შედეგებს. მართალია, დიდი ხუთეულის პიროვნული ნიშნების საზომი ინსტრუმენტები არ ყოფილა გამოყენებული იმ პერიოდში, მაგრამ ე.წ. კლინიკური საუბრისა და პროექციულ მეთოდებში (თემატური აპერცეფციის და რორშახის ტესტები) სტატიკური განწყობის ტიპები ავლენდნენ უფრო მეტად ტენდენციას აგრესიული ქცევისაკენ, გაღიზიანებადობას; მათ ფანტაზიებში, რომელიც მათი არარეალიზებული მოტივებისა და ფიქსირებული განწყობების შედეგი იყო, აისახებოდა პესიმისტური დამოკიდებულებები, თავდაუჯერებლობა, შიში და შფოთვა. ამასვე მოწმობს ფსიქოპათოლოგიების სხვადასხვა შემთხვევების განწყობის (მანიაკალური დეპრესია, ისტერია, ფსიქასტენია) ფორმალური მახასიათებლების შესწავლა, სადაც დასტურდება სტატიკური განწყობის ხშირი შემთხვევები დინამიკურ განწყობასთან შედარებით.

კვლევის ფარგლებში დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ პლასტიკური განწყობის ტიპების ექსტრავერსიის ქულები აღემატება ტლანქი განწყობის ტიპების ექსტრავერსიის ქულებს, რაც ეხმიანება განწყობის დიფერენციალური ფსიქოლოგიის მკვლევრების დასკვნებსა და ინტერპრეტაციებს. კერძოდ, პლასტიკური ტიპის განწყობის ადამიანები უფრო მეტად ხასიათდებიან, კომუნიკაბელობით, აფილაციით, სოციალური ადაპტაციის მაღალი დონით, რაც დამახასიათებელია უფრო მეტად ექსტრავერტებისათვის, ვიდრე ინტროვერტებისათვის; სიტლანქე, რომელიც შეიძლება დინამიკური ტიპის განწყობისთვისაც იყოს მახასიათებელი უფრო მეტად უკავშირდება განწყობის მკვეთრ ცვლილებას, ასეთი სუბიექტები ერთი ადეკვატური აღქმის შემდეგ, აღარ რჩებიან ფიქსაციის გავლენის ქვეშ, რაც ხასიათში შესაბამისად მუდავნდება პრინციპულობაში, სიმკაცრეში და შესაძლოა აგრესიულობაშიც კი. აღსანიშნავია, რომ არ დადასტურდა ჰიპოთეზა ექსტრავერსიისა და დინამიკური განწყობის მიმართების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ნორაკიძე (1966) არაერთ კვლევაში აღნიშნავს დინამიკური განწყობის ტიპების უფრო მაღალ ქულებს ექსტრავერსიაში განწყობის სხვა ტიპებთან შედარებით. საინტერესოა, რომ აიზენკმა ანალოგიური ფენომენის კვლევისას მიიღო საპირისპირო შედეგი: ისტერიის მაღალი ქულების მქონე სუბიექტები (ექსტრავერსიის პროტოტიპი) ხასიათდებოდნენ ფიქსაციის ეფექტის ჩაქრობის უფრო ნელი ტემპით, ვიდრე დისტიმის მაღალი ქულების მქონე სუბიექტები (ინტროვერსიის პროტოტიპი). ჩვენი შედეგები უფრო მეტად ეხმიანება კანადელი მეცნიერის, ჰრიციუკის (Hritzuk, 1971) კვლევებს, სადაც, ასევე, არ დადასტურდა სხვაობა განწყობის ტიპებში ექსტრავერსია-ინტროვერსიის მიხედვით. ზოგადად ფიქსირებული განწყობის კვლევის ექსპერიმენტები საკმაოდ სენსიტიურია სხვადასხვა დამატებითი ცვლადების მიმართ და

ჩატარების პირობებში მცირე სხვაობამ და ხარვეზებმა შესაძლოა გამოიწვიოს განსხვავებული რეზულტატი, მით უფრო, რომ პროცედურული და, ასევე, მოდალობის ასპექტშიც ექსპერიმენტები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ჩვენს კვლევაში, ასევე, არ დადასტურდა სხვაობა სტატიკურსა და დინამიკურ ტიპებს შორის გამოცდილებისადმი ღიაობის მიხედვით. ეს პიროვნული ნიშანი არ იყო ზემოგანხილული განწყობის ფსიქოლოგიის სკოლის წარმომადგენელთა კვლევების საგანი, თუმცა მასთან ახლო მდგომი კონსტრუქტი, ფლექსიბურობა ნორაკიძის კვლევებში (1966) უკავშირდებოდა განწყობის დინამიკურ ტიპს, ხოლო რიგიდულობა უფრო დამახასიათებელი იყო სტატიკური ტიპისათვის. ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით კვლევა უნდა გაგრძელდეს სხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, ან გადამუშავდეს NEO-FFI ქართული ვერსიის გამოცდილებისადმი ღიაობის სკალა, რადგან მას აქვს დაბალი სანდოობა (ჩვენს კვლევაში კრონბახის ალფა 0.5-ის ტოლია). თავად კონსტრუქტი კი უდავოდ საინტერესო საკვლევი უნდა იყოს განწყობის ტიპოლოგიის ფარგლებში, რადგან განწყობის ცვლილების უუნარობა, ფიქსაცია კონკრეტულ გარემოებებზე და ადეკვატური აღქმის სირთულე შინაარსობრივად უკავშირდება პიროვნული რიგიდულობის ცნებას.

დასკვნა

ჩვენს კვლევაში მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისათვის, მან ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მკვლევრების მიერ აღმოჩენილი მთელი რიგი კანონზომიერებების თანამედროვე სტატისტიკური მეთოდებით დასაბუთების საშუალება მოგვცა, რამაც უფრო მეტი მეცნიერული ღირებულება შესძინა მათ. ამასთანავე, პროგრამულად აწყობილი განწყობის ექსპერიმენტებში გაცილებით ეფექტურად შეიძლება დამატებითი ცვლადების კონტროლი, ვიდრე ვიზუალურ სფეროში აქამდე ჩატარებულ განწყობის ექსპერიმენტებში, სადაც ექსპოზიციების დრო, მონაცემთა რეგისტრაციის ხარვეზები და, ზოგადად, ექსპერიმენტატორის ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა განწყობის შემუშავების დეტალებზე. თანამედროვე მკვლევრების, მათ შორის განსაკუთრებით, სამედიცინო ფსიქოლოგიების და ფსიქოფიზიოლოგიების დაინტერესება უზნაძის „განწყობის ეფექტით“ მოწმობს იმას, რომ კვლავაც აქტუალურია გაგრძელდეს ამ მიმართულებით კვლევები.

ჩვენს მოსაზრებას აღნიშნული კვლევის მეცნიერული ღირებულების შესახებ უფრო განამტკიცებს თანამედროვე ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით კი ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში არსებული კრიზისი, რომლის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება კვლევების რეპლიკაციის სირთულეები და მსგავსი კვლევების სიმცირე. ამიტომ ბოლო დროს განსაკუთრებული ღირებულება შეიძინა პირდაპირი თუ კონცეფტუალური რეპლიკაციის კვლევებმა (Laws, 2016).

რაც შეეხება კვლევის შეზღუდვებს, ჩვენი კვლევა მოიცავს განწყობის ტიპოლოგიის მხოლოდ მცირე ნაწილს და განწყობის ალგზნებადობის, კონსტანტობა-ვარიანბელობის, სტაბილობის თუ ირადიაციის შესახებ უამრავი ექსპერიმენტული კვლევა, ასევე, საჭიროებს რეპლიკაციას მათი ექსპერიმენტული თუ სტატისტიკური სანდოობის გადამოწმების მიზნით. როგორც თავად ამ საკითხების მკვლევრები აღნიშნავენ

უზნადის ფიქსირებული განწყობის მეთოდის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები...

დნენ, მნიშვნელოვანია ეს ცვლადები კომბინაციაშიც იყოს განხილული ერთმანეთთან და განსხვავებულ მოდალობაშიც, რადგან განწყობა მთლიანპიროვნული პროცესია და ცალკეული პიროვნული ნიშნებით კონკრეტულ ერთ მოდალობაში მისი შესწავლა განწყობის თეორიის არსებით დებულებებს ეწინააღმდეგება (უზნაძე, 2009).

გამოყენებული ლიტერატურა:

- Costa, P. T., & McCrae, R. (1992). *Revised NEO Personality Inventory (NEO PI-R) and NEO Five-Factor Inventory (NEO-FFI)*. Odessa: Psychological Assessment Resources.
- Daneyko, O., Maravita, A., & Zavagno, D. (2020). See What You Feel: A Crossmodal Tool for Measuring Haptic Size Illusions. *I-Perception*, 11(4). doi:10.1177/2041669520944425
- Eysenck, H. (1955). Cortical inhibition, figural aftereffect, and theory of personality. *The Journal of Abnormal and Social Psychology*, 51(1), 94–106. doi:10.1037/h0043564
- George, D., & Mallery, P. (2003). *SPSS Windows step by step: A simple guide and reference 11.0 update (4th ed.)*. Boston: Allyn & Bacon.
- Ghatani, T. (1984). Generalization of Set Fixed toward a pair of Figures of Various Shapes. In I. Kawaguchi. (Ed.), *The size comparison from the standpoint of the psychology of Set* (pp. 23-26). Osaka: Osaka University.
- Hinton, P., McMurray, I., & Brownlow, C. (2014). *SPSS Explained (2nd ed.)*. London: Routledge. doi:10.4324/9781315797298
- Hritzuk, J. (1971). A comparative and experimental study of the psychology of set as related to personality. *Canadian Journal of Behavioral Science / Revue canadienne des sciences du comportement*, 3(2), 127–134. doi:10.1037/h0082254
- Janzen, H. (1972). An investigation of the integral nature of the Soviet concept of Set. *International Journal of Psychology*, 7(4), 207-218. doi:10.4324/9781315797298
- Kawaguchi, I. (1984). Problems on the figural after-effects from the standpoint of the theory of set. In I. Kawaguchi. (Ed.), *The size comparison from the standpoint of the psychology of set*. (pp. 6-8). Osaka: Osaka University.
- Lyakhovetskii, V., & Karpinskaia, V. (2017). The aftereffects of muler-Iyer and ponzo illusions: differences revealed in sensorimotor domain. *Latvian academy of sciences*, 71(5), 352–358. doi:10.1515/prolas-2017-0060
- Magos, T. (2002). Correlation between platelet monoamine oxidase activity and the strength of a visual illusion. *Vision Research*, 42(16), 2031-2035.
- Pallant, J. (2016). *SPSS Survival Manual: A Step By Step Guide to Data Analysis Using SPSS Program*. London: McGraw-Hill Education.
- Uccelli, S., Pisu, V., Riggio, L., & Bruno, N. (2019). The Uznadze illusion reveals similar effects of relative size on perception and action. *Experimental Brain Research* 237, pages 953–965. doi:10.1007/s00221-019-05480-8
- Uccelli, S. (2021). *The role of temporal context in perception and action*. University of Parma: [Unpublished dissertation].
- Норакидзе, В. (1963). Темперамент и последовательный оптический образ. In А. Прангишвили, & З. Ходжава (Eds.), *Экспериментальные исследования по психологии установки. т. II*. Тбилиси: изд. Академии Наук Грузинской ССР.

- Норакидзе, В. (1966). *Типы характера и фиксированная установка*. Тбилиси: Мецни-
ереба.
- Норакидзе, В. (1975). *Методы исследования характера личности*. Тбилиси: Мецни-
ереба.
- ავალიშვილი, ა. (1940). განწყობის ინტერმოდალური კონსტანტობის საკითხისთვის. In
ციფშიძე დ. (Ed.), *თბილისის სახ. უნივ. შრომები. XVII. 1940*.
- ბჟალავა, ი. (1958). *შიზოფრენიის ფსიქოპათოლოგიისათვის*. თბილისი: საქ. სსრ მეცნ.
აკადემია.
- ნადარეიშვილი, ვ. (2020). ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური
წარმონაქმნების ურთიერთმიმართება. *ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი*, 1, 129-
144.
- ნადარეიშვილი, ვ. (2022). დ. უზნაძის „ობიექტივაციის“ ცნების ზოგიერთი ასპექტი. *ქარ-
თული ფსიქოლოგიური ჟურნალი*, 1, 61-73.
- პიაჟე, ჟ., & ლამბერსიე, მ. (1944/2020). თანმიმდევრული ვიზუალური აღქმისას გამოვ-
ლენილი აინშტელუნგის ეფექტის ცდები (უზნაძის ეფექტი). In ნ. ჯავახიშვილი (Ed.),
დიმიტრი უზნაძის ნაშრომები და მათი ინტერპრეტაცია (ა. ოქროპირიძე, Trans., pp.
21-70). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა [შრომა პირ-
ველად გამოიცა 1944 წელს].
- რობაქიძე, მ. (2020). უზნაძის ეფექტის“ კვლევა ჟ.პიაჟესა და თანამედროვე მეცნიერ-
თა შრომებში. In ნ. ჯავახიშვილი (Ed.), *დიმიტრი უზნაძის ნაშრომები და მათი ინ-
ტერპრეტაცია* (pp. 71-82). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამო-
მცემლობა.
- უზნაძე, დ. (2009). *განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები* (შ. ნადი-
რაშვილი, Ed.) თბილისი: საქართველოს მაცნე.
- ქობულაძე, თ. (2017). *ორგანიზაციული სამართლიანობა, სამუშაო სტრესი, მოდერატი-
ული და მედიაციური ეფექტები*. სადოქტორო ნაშრომი.
- ჯავახიშვილი, ნ., სხირტლაძე, ნ., ბუნაშვილი, ნ., ლორთქიფანიძე, მ., მაყაშვილი, ა., ვარ-
დანაშვილი, ი., & შეყრილაძე, ი. (2016). კვლევის ინსტრუმენტების ვალიდაცია. *დი-
მიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის შრო-
მები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

DIFFERENTIAL – PSYCHOLOGICAL ASPECTS OF THE METHOD OF FIXATED SET: EMPIRICAL VERIFICATION

Maia Robakidze

Javakhishvili Tbilisi State University, Associate professor

Abstract

Several decades passed after development of the experimental method in the psychology of set. In spite of this, it still arises interest in the modern studies of medical psychology and psychophysiology. Many researchers from different countries use the above method, known as “Uznadze effect”. Differently from most Georgian studies dedicated to the psychology of set, foreign colleagues use modern refined technologies and statistical methods in their experiments. For this reason, we decided to conduct set experiments with the use of software program and modern methods of statistical analysis to verify the findings related to individual types of fixated set and personality traits. 171 participated in the experiment on the fixation of set. The experiment followed Uznadze’s classical method, but with the use of special software developed for visual modality. In addition, research participants’ responses were automatically recorded. Research participants also completed the validated Georgian versions of Big Five personality test (NEO-FFI) and Spielberger inventory (STAI) measuring personal anxiety. Dispersion analysis showed that static type is characterized with a higher level of neuroticism and personal anxiety than the dynamic type. Also, the plastic type scores higher on extraversion than the individuals with coarse type of set. Logistic regression analysis showed that neuroticism is a predictor of the dynamics of the extinction process (predictor of staticity – dynamism).

Key words: *Uznadze theory of set, experiments on the fixation of set, types of fixated set, Big Five personality traits*

Dimitri Uznadze, a distinguished Georgian psychologist of the past century, developed a general psychological theory of set which significantly differed from the psychological theories of that period and drew attention of the psychologists working at the international level. Despite the fact that almost 100 years passed after development of the first postulates of the theory, Uznadze’s Set Theory and his experimental method are still applied by university researchers in Italy, Great Britain, Latvia, etc. (Uccelli, 2021; Lyakhovetskii & Karpinskaia, 2017; Daneyko, Maravita, & Zavagno, 2020). In modern psychology it is known as ‘Uznadze effect’. The authors mentioned above mainly work on the cross-modal processes related to the processing of visual and sensorimotor information for the purpose of which they use the method of cross-modal irradiation. J. Piaget was the first who used the term “Uznadze effect” for Uznadze’s method of fixated set (Piaget & Lambercier, 1944 /2020), which contributed much to its popularization. Researchers often cite J. Piaget’s above work when referring to “Uznadze effect.” Although, in that period, the methods of inferential statistics were not used for hypothesis testing, French and Georgian researchers

obtained similar results, which proves their scientific value. Later, researchers in different countries replicated several well-known experiments, conducted by Uznadze and his colleagues, and applied inferential statistics to the data obtained. Their studies proved the existence of phenomena important for Set Theory (generalization, cross-modal irradiation) and other findings (Kawaguchi, 1984; Ghatani, 1984). Modern research refined the experimental methods of set fixation and introduced more precise computer technologies and software (Robakidze, 2020). Modern research focuses more often on information processing models and physiological aspects, including the factors (peripheral, central) determining “Uznadze effect” as well as the nature of generalization and cross-modality (Magos, 2002; Ucceli, Pisu, Riggio, & Bruno, 2019).

Our study aimed to test the differential-psychological aspects of the method of fixated set using modern methodology applied in empirical research. This problem has not received adequate attention in modern studies of the psychology of set differently from the issues mentioned above. It should be noted that Uznadze and other representatives of the psychology of set believed that this topic has significant practical value. It should be noted that the contribution made by modern Georgian psychologists is truly important (research into the in-depth analysis of different types of set, objectification and its role in the individual's adaptation to the environment, the role of values, norms and culture in the development of dispositional set) (Nadareishvili, 2020; 2022). Despite the importance of the above listed topics, their analysis goes beyond the scope of the given article since it deals with the content of the concept of set rather than its formal aspects, like the dynamics of the extinction of set.

Individuals differ by formal characteristics of fixated set: how fast set is fixated, how stable it is, dynamics of its extinction, etc. The Theory of Set distinguishes different types of set: static, dynamic, variable, etc. Studies conducted by Georgian psychologists confirmed the existence of relationship between the types of set and personality characteristics (Norakidze, 1975; Bzhalava, 1958). Unfortunately, these studies did not use inferential statistics. At least, the works do not contain this kind of information and the interpretation is based on frequency analysis. One of the researchers who attempted to use inferential statistics when examining relationship between the types of fixated set and personality traits identified by Eysenck personality test was the Canadian researcher J. Hritzuk (1971), whose experiments demonstrated statistically significant association between the characteristics of set and extraversion – introversion measured with the Eysenck personality test (Hritzuk, 1971). Our study aims to verify the findings established in the given studies and answer the question about relationship between the types of fixated set and personality traits. We used the Big Five model to study personality traits in relation to the types of set which had not been the focus of research in the past studies. We also decided to verify the relationship between the types of fixated set and personal anxiety established in Norakidze's experiments (1975), since it did not contain information on the use of statistical methods.

Types of extinction of set

According to Uznadze (2009), set is an integral unconscious state which is formed on the basis of the individual's need and the corresponding situation. Set is a state of readiness for behavior which determines future behavior. Since set is the projection of a specific form of future behavior, it is also the basis of purposeful behavior and ensures the individual's adaptation to environment. This is how D. Uznadze described situational ("actual") set. At the same time, Uznadze distinguished situational set from fixated set: The set which has been formed once and served a specific purpose, might not disappear. "It maintains readiness for repeated actualization and is immediately evoked in suitable conditions.", i.e., is transformed into fixated set (Uznadze, 2009, p 64). Fixated sets are sometimes so strong that they prevent the emergence of adequate set. They may or may not correspond to the situation. The subject can change one's sets in the latter case and regulate future behavior so that it better corresponds to reality. Therefore, Uznadze's set is a mechanism ensuring the individual's adaptation to environment.

Uznadze and his colleagues developed a methodology to study fixated set. In the first part of the experiment (set test), the subject is exposed to unequal objects and is instructed to evaluate their size. In the next part of the experiment (critical test), the subject is given equal objects and is instructed to evaluate their size. In the critical trials the subject perceives identical objects as unequal under the influence of the fixated set formed in the previous trials. Most subjects manifest contrast illusion, i.e., the object exposed on the same side where previously the subject was exposed to a large object is perceived smaller compared to the other object. Assimilative illusions are observed less frequently. This is when the same object is perceived as large in both fixation and critical trials. As a result of a series of exposures to equal objects fixated set gradually extinguishes, i.e., the subject's contrast illusions are replaced with the adequate perception of equal objects. Numerous experiments show that individuals differ by dynamics of the above process. In particular, individuals require different number of trials for the formation of fixated set (i.e., evoking illusions). This fact was used by Uznadze to distinguish high and low excitability types. It also turned out that individuals differ by extinction of fixated set. In particular, some participants shift to adequate perception after several contrast illusions (dynamic type)¹, whereas others never reach adequate perception and remain under the influence of fixated set during the entire experiment (static type). The third type who does not show any clear extinction pattern (sometimes manifests static and other times – dynamic pattern) is labelled variable type. In some individuals' extinction of fixated set is gradual and is characterized with interchangeable responses (plastic type), whereas in the other phase only contrast illusions are observed (coarse type). Later studies confirmed that the extinction type is the same in different modalities (visual, motor and haptic) (Avalishvili, 1940), which, according

¹ When referring to 'dynamic' and 'static' types, we mean 'the individual with dynamic set' and 'the individual with static set' in correspondence with the terms used by Uznadze in his work: 'dynamic type' or 'type of dynamic set' implies 'the individual with the dynamic type of set' (Uznadze, 2009, p.188-190).

to Uznadze, points to the differential-psychological aspects of set as integral personality state. "It can be considered an established fact that normally, every healthy subject can be characterized with a certain type of fixated set which remains unchangeable in all sensory domains" (Uznadze, 2009, p185).

The relationship between the features of the evoke/extinction of fixated set and personality characteristics were investigated in Norakidze's works (1966; 1975). Norakidze used different methods to study personality: clinical-biographical method, Eysenck personality test, projective tests (Rorschach and TAT). The results of the study confirm that plastic-dynamic set is characteristic of sanguine, phlegmatic and choleric types, coarse-static set is characteristic of melancholic types, individuals with dynamic type of set are often extraverts, and static types are introverts. It was also demonstrated that compared to dynamic type, static type scores higher on the Taylor anxiety scale. To conclude, according to Norakidze (1966), the individual with the static type of set remains under the influence of the fixated set for a long time, cannot adapt to new reality, is rigid, characterized with a high level of anxiety and internal conflicts, is predisposed to melancholy, is introspective and mostly introverted. On the other hand, the dynamic type easily adapts to environment, is flexible, harmonious, is characterized with a low level of anxiety, is balanced, realistic and mostly extraverted.

Abnormal psychology also benefited from the diagnostic potential of the method of fixated set. Uznadze viewed abnormal psychology in a broader context: "Illness does not damage a specific function; it damages the individual, as a whole, who uses this particular function." (Uznadze, 2009). The studies show that the properties of the fixated set differ from the norm in different pathological cases (Bzhalava, 1958). In patients with schizophrenia fixated set is local; it is characterized with a high level of steadiness, rigidity and staticity. However, a number of differences was confirmed for different types of schizophrenia. Patients with epilepsy are characterized with a high level of excitability; their set can be described as coarse-static and stable. The set of bipolar patients is static-plastic and variable in the manic phase. In such patients the type of extinction of set is changeable and is less consistent (Bzhalava, 1958).

